Aluminum oxide in the alkaline solvent to help the izotermis, we have some accepted of the Obtained the equation that describes in this solution kontentration  $\text{LiOH}$  dependence in  $\text{Al}_2\text{O}_3$ -Solution kontentration. Determined that the when we want to get 10%  $\text{Al}_2\text{O}_3$  solution, we need from solution  $\text{LiOH}$  kontentration should be more when 4.7%. Using the solution 5%, work is a critical solution concentration  $\text{Al}_2\text{O}_3$  is the 12.12-%.

დირენიუმ-ოქროს კლასტერის  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_4\text{Fc})(\text{CO})_8$   
სინთეზი და მისი რეაქტონის ტრაქტურული ანალიზი

ჭედია რ.ვ. ლეგაშვილი ო.ი. კაკულია ც.ვ. ჯანიაშვილი ლ.ქ.  
ბერიშვილი მ.გ. ქორქია თ.გ. მცხვეთაძე ლ.გ. ქორიძე ა.ა.  
ივაზავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
მეტალორგანული ქიმიის ინსტიტუტი


ოქროს ფეროცენილბუთადინილ ნაწარმის  $\text{Au}(\text{PPh}_3)(\text{C}_4\text{Fc})$  თერმული რეაქციით  $\text{Re}_2(\text{CO})_8(\text{NCMe})_2$ -თან წარმოიქმება ხიდური ფეროცენილბუთადინილის ლიგანდის შემცველი სამწევრა დირენიუმ-ოქროს კლასტერი  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_4\text{Fc})(\text{CO})_8(1)$ . რეაქცია მიმდინარეობს მშრალ ტოლულში 90 °C 1 საათის განმავლობაში. დადგენილია, 1 გროვ დაბალი გამოსავლით წარმოიქმნება მუქი წითელი კლასტერი  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)(\mu_4\text{-C}_2)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{NCMe})(\text{CO})_{13}$ . კლასტერების აღნაცობა დამტკიცებულია რენდგენოსტრუქტურული ანალიზით.

გარდამავალ მეტალთა კლასტერული კარბონილების ალკინური და ალკინილური (აცეტილენიდური) ნაწარმები მეტალორგანულ ნაერთთა მნიშვნელოვან კლასს წარმოადგენენ [1,2]. მათ მიმართ ინტერესი გამოწვეულია ნახშირწყალბადოვანი ლიგანდების მრავალმხრივი კორდინაციის შესაძლებლობებით მეტალურ ჩონჩხთან და ლიგანდების უჩვეულო გარდაქმნებით. ეს გარდაქმნები მოიცავს უჯერი ნახშირწყალბადების ოლიგომერიზაციას, რომელსაც ზოგჯერ თანახლავს CO ჯგუფთან შეუღლება და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, C-C და C-H ბმების წარმოქმნა და გაწყვეტა. ამ მხრივ უველავე მდიდარია რუთენიუმისა და ოსმიუმის ალკინურ და ალკინილურ ნაწარმების კლასტერების ქიმია [3]. ამავე დროს, რენიუმის კლასტერების შესაბამისი ნაერთებისადმი მნიშვნელოვნად ნაკლები სამუშაოებია მიმდვნილი.



წინამდებარე ნაშრომში განხილულია ფეროცენილბუთადინილ კომპლექსის  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_4\text{Fc})(\text{CO})_8$  (1) სინთეზი და შესწავლილია მისი სტრუქტურული აღნაცობა. ოქრორენიუმის ჰეტერომეტალური კლასტერების მისაღებად აუცილებელი საწყისი ნივთიერებების -- ეთინილფეროცენისა და ბუტადინილფეროცენის ნაწარმების სინთეზი განხორციელდა შემდეგი სქემის მიხედვით:

ფეროცენი  $(\text{FcH}) \rightarrow$  მონოაცეტილფეროცენი  $\rightarrow$  ტ-ქლორ-ტ-ფეროცენილაკროლენი  $\rightarrow$  ეთინილფეროცენი  $\rightarrow$  1-ტრიმეთიოლსილილ-4-ფეროცენილ-1,3-ბუტადინი  $\rightarrow$  1-[({ტრიფენილფოსფინოქრო]-4-ფეროცენილ-1,3-ბუტადინი.

$\text{FcC}_4\text{AuPPh}_3$ -ის სინთეზი განხორციელებულია შემდეგი სქემით:



დირენიუმის კარბონილის აცეტონიტრილიანი კომპლექსი მიღებულია აცეტონიტრილში  $25-35^{\circ}\text{C}$ -ზე ტრიმეთილამინის ოქსიდის თანაობისას [4]:



### ცხრილი 1.


$\text{Re}_2\text{Au}(\text{PPh}_3)\text{C}_4\text{Fc}$  კლასტერის ზოგიერთი კრისტალოგრაფიული პარამეტრი.

პარამეტრი	მასასიათებული	
მოლ.ფორმულა	$\text{C}_{40}\text{H}_{24}\text{O}_8\text{PAuFeRe}_2$	
მოლ.მასა	1288.78	
სინგონია	მონოკლინური	
სივრცითი ჯგუფი	P2 <sub>1</sub> /c	
ტემპერატურა/ K	110	
ელემენტ. უჯრედ. პარამეტრი	a/Å	12.6585(6)
	b/Å	17.3929(7)
	c/Å	17.1033(8)
	$\alpha/\text{გრად}$	90
	$\beta/\text{გრად}$	97.744(1)
	$\gamma/\text{გრად}$	90
ელემენტ. უჯრედ. მოცულობა V/Å <sup>3</sup>	3731.3(3)	
Z	4	
რენტგენული სიმკვრივე, $d_{\text{გამო/გ.სმ}}^{-3}$	2.294	
ბრეგის კუთხის მაქს. მნიშვნ., $2\Theta_{\text{აქ}}/\text{გრად.}$	58	
დიფრაქტომეტრი	SMART APEX II	
გამოსხივება	Mo-Kα ( $\lambda=0.71073 \text{ \AA}$ )	
შთანთქმულ. $\mu/\text{სმ}^{-1}$	108.63	
დამოუკიდებლი არეალის რაოდ.(R <sub>int</sub> )	9885(0.0780)	
R <sub>1</sub> (Fარეკალის მნიშვნელი. $I > 2\sigma(I)$ )	0.0331(7626)	
wR <sub>2</sub> (F <sup>2</sup> უკელა არეალი)	0.0668	

ოქროს ფეროცენილბუჟთადიინილ ნაწარმის  $\text{Au}(\text{PPh}_3)(\text{C}_4\text{Fc})$  ურთიერთქმედებით  $\text{Re}_2(\text{CO})_8(\text{NCMe})_2$ -თან არომატული ნახშირწყალბადების არეში (ტოლუოლი, ეთოლბენზოლი, ქსილოლი)  $80-110^{\circ}\text{C}$  წარმოიქმება ხიდური ფეროცენილბუჟთდიინილის ლიგანდის შემცველი სამწევრა დირენიუმ-ოქროს ჰეტერომეტალური კომპლექსი. კომპლექსის 1 საკეტრალური მასასიათებლები ფეროცენილეთინილური კომპლექსის  $\{\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_2\text{Fc})(\text{CO})_8\}$  მსგავსია და მიუთითებს მათი აღნაგობის ერთგვარობაზე [5]. კომპლექსის 1 ბმრ  $^{31}\text{P}\{^1\text{H}\}$  სპექტრში აღინიშნება ერთადერთი სიგნალი  $\delta$  81.78. ბმრ  $^1\text{H}$  სპექტრში ფეროცენილის ჯგუფის რეზონანსული სიგნალებია  $\delta$  4.26 (t,  $J_{\text{H-H}}=1.7 \text{ Hz}$ , 2H), 4.27(s, 5H) და 4.56 (t,  $J_{\text{H-H}}=1.7 \text{ Hz}$ , 2H), ხოლო ტრიფენილფოსფინის სამი ფენილის ჯგუფის პროტონების მულტიპლეტი აღინიშნება 7,45-7.57. გელის არეში. დადგენილია, 1 კომპლექსთან ერთად დაბალი გამოსავლით წარმოიქმნება მუქი-წითელი კლასტერი  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)(\mu_4\text{-C}_2)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{NCMe})(\text{CO})_{13}$  (2), რომელიც წარმოადგენს 1-ის და  $\text{Re}_2(\text{CO})_8(\text{NCMe})_2$  რეაქციის მთავარ პროდუქტს. კომპლექსის 1 აღნაგობა დამტკიცებულია მონოკრისტალის რენდგენსტრუ-

ქედია რ.გ, ლეკაშვილი ო.ი, გაგულია ც.ვ, ჯანიაშვილი ლ.ქ,  
ბეროშვილი მ.გ, ქორქია თ.ვ, მცხვეთაძე ლ.გ, ქორიძე ა.ა.

ქტურული გამოკლევით, დადგენილია, რომ ფეროცენილბუთადინილის ლიგანდი Re(1) ატომთან წარმოქმნის ს-ბმას, ხოლო Re(2)-თან π-ბმას, რომელთა სიგრძეები შესაბამისად 2.027 და 2.319 ანგსტრომია. მანძილი C(9)-C(10) 1.241 Å ტოლია. მაშინ როდესაც შესაბამისი ბმის სიგრძე ს-აცეტილიდურ ლიგანდში Re<sub>2</sub>(μ-H)(σ-C≡C-Ph)(CO)<sub>7</sub>(μ-Me<sub>2</sub>PCH<sub>2</sub>PMe<sub>2</sub>) შეადგენს 1.200 Å, რაც გამოწვეულია რენიუმის ატომთან აცეტილენური π-ბმის კოორდინაციით [5,6].



ნახ.1. Re<sub>2</sub>Au(PPh<sub>3</sub>)(μ-C<sub>4</sub>Fc)(CO)<sub>8</sub> კლასტერის მოლკულური სტრუქტურა

### ექსპერიმენტული ნაწილი

გმრ <sup>1</sup>H და <sup>31</sup>P სპექტრები რეგისტრირებულია სპექტრომეტრებზე ‘Bruker AMX-400’(400.13 და 161.98 მჰ/ შესაბამისად); იქ სპექტრები –“Bruker-IFS-113” სპექტრომეტრზე. რენდგენოსრუქტურული კვლევები ჩატარებულია დიფრაქტომეტრით “SMART APEX II”, Mo-Kα ( $\lambda=0.71073 \text{ \AA}$ ) გამოსხივებით. კლასტერის კრისტალოგრაფიული კვლევების ჩატარებისას გამოყენებულ იქნა SAINT, SADABS და SHELLXTL-97 პროგრამები.

წარმოდგენილი სამუშაო შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით (სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი № 407).

### ლიტერატურა

1. P.J. Low and M.I. Bruce. Transition metal chemistry of 1,3-diyne, polyynes, and related compounds. *Adv. Organomet. Chem.*, 2001, 48, 71-288.
2. A.A. Koridze. Acetylide derivatives of transition metal cluster carbonyls. *Russ. Chem. Bull., Int. Ed.*, 2000, 49, 1135-1163.
3. A.A. Koridze. Reactions of ruthenium and osmium cluster carbonyls with heteroatom-substituted and functionalized alkynes. *Russ. Chem. Bull., Int. Ed.*, 2000, 49, 1-18.
4. ლეკაშვილი, ც.კაკულია, ლ.ჯანიაშვილი, ნ.ქავთარაძე, მ.ბეროშვილი, რ. ჭედია აცეტონიტრილ ლიგანდის შემცველი რენიუმის კარბონილ კომპლექსების მიღების ზოგიერთი საკითხი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქმითი სერია, 2009, 35, 4, 429-432.
5. A.A. Koridze, V.I. Zdanovich, A.M. Sheloumov, F.M Dolgushin, M.G. Ezernitskaya, P.V. Petrovskii. Synthesis of the gold-dirhenium ferrocenylacetylide cluster. The crystal structure of Re<sub>2</sub>(μ-C≡CFc){Au(PPh<sub>3</sub>)}(CO)<sub>8</sub>. *Russ. Chem. Bull., Int. Ed.*, 2001, 50, 2441-2444.
6. K.-W. Lee, W.T. Pennington, A.W. Cordes, T.L. Brown. Reactions of Re<sub>2</sub>(CO)<sub>8</sub>[μ-(L-L)] (L-L = dppm, dmpm) and Re<sub>2</sub>(CO)<sub>7</sub>[μ-(L-L)]NCMe with alkynes. *J. Am. Chem. Soc.*, 1985, 107, 631-641.

## SYNTHESIS OF GOLD-DIRHENIUM CLASTER Re<sub>2</sub>(AuPPh<sub>3</sub>)(μ-C<sub>4</sub>Fc)(CO)<sub>8</sub> AND ITS X-RAY DIFFRACTION ANALYSIS

**Chedia R.V, Lekashvili O.I, Kakulia T.V, Janiashvili L.K, Beroshvili M.G, Korkia T.V,  
Mtskhvetadze L.G, Koridze A.A.**

Institute of Organometallic Chemistry, I. Javakhishvili Tbilisi State University

### Summary

Cluster Re<sub>2</sub>(AuPPh<sub>3</sub>)(μ-C<sub>4</sub>Fc)(CO)<sub>8</sub> (**1**) containing bridging ferrocenylbutadiynyl ligand was obtained by the thermal reaction of Re<sub>2</sub>(CO)<sub>8</sub>(NCMe)<sub>2</sub> with ferrocenylbutadiynyl derivative of gold Au(PPh<sub>3</sub>)(C<sub>4</sub>Fc). The reaction performed in dry toluene at 90°C for 1 h. in argon atmosphere gave orange cluster **1** along with deep-red cluster Re<sub>4</sub>(AuPPh<sub>3</sub>)(μ<sub>4</sub>-C<sub>2</sub>)(μ<sub>3</sub>-C<sub>2</sub>Fc)(NCMe)(CO)<sub>13</sub> in very low yield. The structure of cluster **1** was confirmed by a single-crystal X-ray diffraction.



პლასტიკატორის გაზლენა პოლივინილქლორიდული პომპონივიას  
რეოლოგიურ თვისებები

ხელაძე ნ., ქირია დ., გეგუჩაძე ც., პატარიძე ქ.  
ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელაძის განხილულია სხვადასხვა ქიმიური ბუნების მქონე პლასტიკატორის მოქმედება აღილობრივი მინერალური შემაგებელების – თეთრი და ვარდისფერი უკლარის გამოყენების გზით მიღებული პოლივინილქლორიდული კომპოზიციების რეოლოგიურ თვისებების შესწავლილია პოლიმერული ნალღობების დენადობაზე პლასტიკატორების მოქმედება და დაღვენილია პოლიმერული კომპოზიციური მასალების გადამუშავების ოპტიმალური პირობები.

პოლივინილქლორიდში პლასტიკატორის შეყვანა მისი თვისებების მოდიფიკირების ეფექტური საშუალებაა, რომელიც მიზნად ისახავს განსაზღვრული ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლების მქონე მასალების მიღებას. პლასტიკატორის მირთადი დანიშნულებაა პოლიმერის გამინების ტემპერატურის დაწევა და სიმყიფის შემცირება, ამიტომ მისი მოქმედების ეფექტურობას ჩვეულებრივ აფასებენ პოლიმერის გამინების ტემპერატურის დეპრესიის მიხედვით. ამასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პლასტიკატორის მოქმედების შედეგად პოლიმერის დენადობის ტემპერატურის ცვლილებას, რაც განაპირობებს გადამუშავების პირობებს და პოლიმერული კიმპოზიციის ტექნოლოგიურობას. მოცემული ტემპერატურული რეჟიმის დროს პლასტიკატირებული პოლივინილქლორიდული კომპოზიციის ტექნოლოგიურობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია ნალღობის რეოლოგიურ თვისებებზე და მნიშვნელოვნად განპირობებულია პოლიმერში პლასტიკატორის ბუნებითა და შემცველობით.


აღნიშვნელიდან გამომდინარე, შესწავლილი იყო სხვადასხვა ქიმიური ბუნების მქონე პლასტიკატორის მოქმედება პოლივინილქლორიდული კომპოზიციების რეოლოგიურ თვისებებზე. კვლევის მიზანი იყო პოლიმერულ ნალღობების დენადობაზე პლასტიკატორების მოქმედების შეფასება და პოლიმერული კომპოზიციების გადამუშავების ოპტიმალური პირობების დადგენა.

პოლივინილქლორიდული კომპოზიციები მიღებულია აღილობრივი მინერალური შემაგებლების – თეთრი და ვარდისფერი ეკლარის გამოყენების გზით.

კვლევის პროცესში ვიყენებდით საწარმოო დანიშვნელების პლასტიკატორებს: დოფ (დი-(2-ეთილჰექსილ)ფტალატი), დოს (დი-(2-ეთილჰექსილ)სებაცინატი) და ედოს (დიოქსანური სპირტების და მათი მადალმდებარე ეთერების ნარევი), რომელიც პოლივინილქლორიდთან შეთავსების უნარის მიხედვით პირველად პლასტიკატორებს წარმოადგენს. გამოკვლევები ჩატარებულია კაბილარული ვისკოზიმეტრის მეთოდის საშუალებით  $170\text{--}200^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ ინტერვალში,  $P=5\text{--}6$  მუდმივი დატვირთვის დროს. ეკლარით შევსებული პოლივინილქლორიდული კომპოზიციების რეოლოგიური თვისებების შეფასების კრიტერიუმად შერჩეული იყო ნალღობის დენადობის მაჩვენებელი (ПТР), რომელიც ფართოდ გამოიყენება პოლიმერების ტექნოლოგიურობის შეფასების მიზნით.

პლასტიკატორის რაოდენობისა და ტემპერატურის გადიდებით პოლიმერული კომპოზიციის ნალღობის ინდექსი იზრდება (ნახ.), ამასთან ერთად, პტრ-ის მნიშვნელობა კომპოზიციებში პლასტიკატორის ერთნაირი შემცველობის დროს მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მის ქიმიურ ბუნებაზე. პლასტიკატორები ედოს და დოს უფრო დიდ გავლენას ახდენს პოლიმერის პტრ-ზე, ვიდრე იმავე რაოდენობით აღებული დოფ. ექსპერიმენტული მონაცემებიდან გამომდინარებს, პოლივინილქლორიდული კომპოზიციების პტრ-ის ერთნაირი მნიშვნელობები მიიღწევა სხვადასხვა ქიმიური ბუნების მქონე პლასტიკატორების განსხვავებული რაოდენობის შემცველობის დროს. მაგალითად, რომ მივიღოთ  $5\text{--}10\%$  ნალღობის ინდექსის მქონე კომპოზია ( $180^{\circ}\text{C}$ ), სპირტი პოლივინილქლორიდში (100 მას.ნატ. გადაანგარიშებით) შევიყვანოთ 66 მას.ნატ. პლასტიკატორი ედოს ას 87 მას.ნატ. დოფ (ცხრილი).

პლასტიკატორის იმ რაოდენობის შესაბამისი პარამეტრი არ, რომელიც უნდა დავამატოთ პოლივინილქლორიდულ კომპოზიციებში მათი პტრ-ის ერთნაირი მნიშვნელობის მისაღებად, შეიძლება გამოვიყენოთ პლასტიკატორის მოქმედების დასახასიათებლად: რაც უფრო ნაკლებია არ, მით უფრო ძლიერ გავლენას ახდენს პლასტიკატორი შევსებული პოლიმერული კომპოზიციის დენადობაზე. არ პარამეტრის მნიშვნელობების შესაბამისად ჩვენს მიერ გამოყენებული პლასტიკატირები შეიძლება შემდეგი თანმიმდევრობით დავალაგოთ: ედოს > დოს > დოფ



ნახ. პოლივინილქლორიდული კომპოზიციების PTR-ის დამოკიდებულება პლასტიფიკატორის შემცველობასა და ტემპერატურაზე: 1 – ЭДОС; 2 – ДОС; 3 – ДОФ

**ცხრილი**  
პლასტიფიკატორის ქიმიური ბუნების გავლენა პოლივინილქლორიდული კომპოზიციების რეოლოგიურ

ტემპერატურა, °C	PTR, g/10³	პლასტიფიკატორის შემცველობა (Ap), მასს.ნავ./100მასს.ნავ. პოლივინილქლორიდზე		
		ДОФ	ЭДОС	ДОС
175	5	-	70	78
180	5	80	62	65
180	5	-	66	69
185	5	71	51	57
190	5	58	43	45

### ლიტერატურა

- Ballard D.G.H., Burgecs A.N. The crystallinity of PVC. "Polymer", 1987, 28, №1, p.3-9.
- Тагер А.А. Некоторые вопросы пластификации полимеров. Пласт. массы, 1990, №4, с. 59-64.
- Машарипов С., и др. Пластификация поливинилхлоридных композиций фенольными экстрактами. Пласт. массы, 1990, №4, с. 57-59.
- Смирнова К.Н., и др. Соотношение физико-механических показателей жестких ПВХ-материалов. Пласт. массы, 1989, №5, с. 13-15.
- Чуклина Н.С. Пласт. массы, 2001, №9, с. 18-19.
- Gernoch I. Plaste und Kautschuk, 1980, Bd. 27, 11, s. 621
- Фудзин Т., Дзако М. Механика разрушения композиционных материалов. Пер. с Яп. Под ред. В.И. Бурлаева, М., Мир, 1982.

## THE INFLUENCE OF PLASTIFICATOR ON RHEOLOGIC FEATURES OF POLYVINYLCHLORIDE COMPOSITES

N. Kheladze, D. Kiria, T. Geguchadze, K. Pataridze.  
Tsereteli State University

### Summary

In the article is studied the action plastificator with different chemical features on rheologic features of polyvinylchloride composites from local mineral supplements- white and pink eklari.

Ascertained that with increasing the quantity and temperature of plastificator , increases the index of melting and the meaning of it in composites with the same components considerably depends on the chemical characters. Experiments testifies that the same meaning of composites achieve while constitution of plastificators with different chemical features.



## სესია 8. მცხვარეული ნედლეულის ძიმით და ძიმიური ჰექნოლოგიის თანამედროვე მიღწევები

**მსხლის ფსილას Psilla piry (L)-ის ზინააღმდეგ მიკროაიოლოგიური  
პრეპარატის ბამოცდის შედეგები**

### **ბადალაშვილი ქ., ბადალაშვილი ნ.**

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი

მაგნი ორგანიზებულის დონისძიებათა სისტემაში, მცენარეთა დაცვის დონისძიებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიკრობიოლოგიური პრეპარატების გამოყენებას, როგორც სასარგებლოვ ფლორასა და ფაუნაზე უკნებელ, კოოლოგიურად უსაფრთხო საშუალებებს. გამომდინარე აქტიური, მათი ინტენსიური ძიმი, გამოცდა და დანერგვა, მსოფლიოში სულ უფრო ფართოდ მიმდინარეობს.

უკანასკნელ პერიოდში სამრეწველო მეხილეობის რაიონებში მასობრივად გავრცელდა ხეხილის ფსილები, რომლებმაც ინტენსიურად მსხლის კულტურა დააზიანეს და შესაბამისად მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვიეს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქიმიური საშუალებების გამოყენება მრავალ დადებით მხარეებთან ერთად, რიგ უარყოფით მოვლენებთან არის დაკავშირებულიგარემოს დაბინძურება, ადამიანებისა და სხვა თბილისებლიანების მიმართ ტოქსიკური მოქმედება, მაგნე ორგანიზმების მიერ რეზისტენტობის გამომჟღვნება და სხვა). რაც დღის წერიგში აყენებს: შემუშავდეს პესტიციდების გამოყენების ახალი ტექნოლოგიები, შემცირდეს ხარჯვის ნორმები და მათი გამოყენება შეთანაწყობილი იქნას ეკოლოგიურად უსაფრთხო ლონისძიებებთან, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც მცენარეთა დაცვის, ასევე ეკოლოგიური და გაონომიკური ასპექტები.

გამომდინარე აქტიური, ჩვენს მიერ გამოცდილი იქნა მიკრობიოლოგიური პრეპარატი ე.კ. რომლის საწყის ნივთიერებას წარმოადგენს ბუნებრივი ავერმექტინის კომპლექსი, ნიადაგის სოკოს მიერ პროდუცირებული streptomices avermitilis, რომელიც მავნებლის ორგანიზმში ნაწყლავური ან კონტაქტური გზით აღწევს, არის ფართო მოქმედების ინსექტოაკარიციდი, იწვევს მწერის პარალიზმებას და 1-4 დღეში სიკვდილს, ლიროსექტი მიღებულია მიკრობიოლოგიური სინთეზის გზით.

აღნიშნული პრეპარატი ჩვენ მიერ გამოცდილი იქნა მსხლის ჩვეულებრივი ფსილას სხვადასხვა ფაზის მიმართ როგორც ცალკე 0,2%-0,1%-0,05%-იანი კონცენტრაციებით, ასევე ინსექტიციდებთან-კონფიდორთან (0,003%), კალიფსოსთან (0,003%) და მარშალთან (0,005%), დაბალ სუბლეტარულ კონცენტრაციებთან კომბინირებით.

ცდის შედეგები წარმოდგენილი გავაქს №1 ცხრილში.

ცხრილში წარმოდგენილმა მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამოცდილი ყველა პრეპარატის მიმართ, უფრო მიმღებიანია უმცროსი ხნოვანების ფსილას მატლები, რაც აისახება იმით, რომ ისინი იკვებებიან უფრო აქტიურად და პრეპარატ ლიროსექტის საწყისი ნივთიერებაც უფრო მეტი რაოდენობით ხდება კუჭ-ნაწყლავის ტრაქტში.

როგორც ცდის შედეგებიდან ირკვევა, პრეპარატ ლიროსექტის 0,2%-იანი კონცენტრაციის გამოყენებით მავნებლის სიკვდილიანობამ 68,4%-60,0% შეადგინა, ხოლო 0,05%-მდე შემცირებით კი პრეპარატის ეფექტურობა კლებულობს და შესაბამისად 62,5%- 56,3%-ს უდრის. ლიროსექტის ეფექტურობა მეგორად იზრდება მასზედ ინსექტიციდების მცირე სუბლეტარული კონცენტრაციების დამატებით, რაც გამოიხატება მწერის ორგანიზმის სწრაფი დასუსტებით, რის შედეგადაც იგი უფრო მიმღებიანი ხდება პრეპარატ ლიროსექტში შემავალი სოკოს საორებით დაავადებისადმი.

მავნებლის სიკვდილიანობამ ლიროსექტის კონფიდორთან კომბინირებით შესაბამისად შეადგინა 88,2%-86,3%-85,2%, კალიფსოსთან კომბინირებით 87,5%-86,2%-85,0%, მარშალთან 85,5%-84,3%-84,0%

გამომდინარე აქტიური ვაკეთებთ დასკნას, რომ მიკრობიოლოგიურ პრეპარატ ლიროსექტისა და ინსექტიციდების კომბინირებული ნაზავები მაღალეფებურია მსხლის ჩვეულებრივი ფსილას წინააღმდეგ და წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ეკოლოგიურად უსაფრთხო, ნაკლებად ტოქსიკური საშუალებები.



**საერთაშორისო სამეცნიერო-პრაკტიკული კონფერენცია  
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE  
МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ**

მსხვილის ფსილას წინააღმდეგ ლიროსექტისა და მისი ინსექტიციდებთან კომბინირებული ნაზავის ტოქსიკურობის მაჩვენებლები

ცხრილი №1

№	პრეპარატი კონცენტრაცია	სიკვდილის მოცემული ცანკები %		
		მატლის ფაზა	ნიმფის ფაზა	იმაგო
1	ლიროსექტი 0,2%	68,4	64,5	60,0
	0,1%	64,2	62,3	57,3
	0,05%	62,5	61,5	56,3
2	ლიროსექტი 0,05% + კონციდორი 0,003%	88,2	86,3	85,2
3	ლიროსექტი 0,05% + კალიფსო 0,003%	87,5	86,2	85,0
4	ლიროსექტი 0,05% + მარშალი 0,05%	85,5	84,3	84,0
5	საკონცენტროლო	2,5	2,0	1,5

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ბადალაშვილი, ქ. ჩუბინიშვილი. ჩვეულებრივი მსხვილის ფსილას მიმართ, პერიციდების გამოცდის შედეგები შიდა ქართლის პირობებში. აგრარული უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ტ.XXX, გვ.95-97, თბილისი, 2005.
2. ნ.ბადალაშვილი. ზოგიერთი თანამედროვე ინსექტიციდების გამოცდის შედეგები მსხვილის ჩვეულებრივი ფსილას მიმართ შიდა ქართლის პირობებში. აგრარული უნივერსიტეტის შრომათა კრებული ტ.XXXIV, გვ.51-53. თბილისი, 2006.
3. Hagen K.S and S.H Dreistedt-First California record for Anthrocoris nemoralis(F) (Hemiptera-Anthrocoridae) a predator important in the biological control of psyllids (Homoptera- Psiloidea) Pan-Pacific Entomol. №66,pg/323-325.199

#### RESULTS OF TESTS OF MICROBIOLOGICAL PREPARATIONS AGAINST PSYLLA PYRI L.

**k.Badalashvili . N. Badalashvili**

Georgian Agrarian University

#### Summary

In system of methods of struggle against harmful organisms, among measures of protection of plants the important place occupies use of microbiological preparations.

Proceeding from it, we have tested a microbiological preparation Lirosekt, as a separate preparation, and in a combination with insecticides. The results of experiences have shown that efficiency of Lirosekt considerably raises in case of addition of insignificant sublethal concentration of insecticides. It is marked a fast weakening of an insect organism and therefore it becomes more susceptible to Lirosekt.

#### განვითარების პიოლოგიური თავისებურებანი ფორმოლის გამოურჩეულ ფორმებში

ბერიძე ნ., ლამპარაძე შ.

მოთარევების სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩატარებული კვლევების საფუძვლებზე დადგენილია, რომ მცენარეთა მოვლა-მოყვნის ოპტიმალური პირობებით შესაძლებელია მცენარეს საგვარეულო პერიოდების რეგულირება, ეს კი განაპირობებს ბორიტმის ქვეყრითდების რაციონალურად გავლას, რაც ხელს უწყობს მცენარის უხვი და მყარი მოსავლის მიღებას. ხწორებ ბორიტიური და სამეურნეო შესწავლილი და გამორჩეული იქნა ფორმოლის ორი პერსექტიული ფორმა: ვაშინგტონ ნაველი

**№101 და კოროლიოკი №107.**

მცენარის სიცოცხლის მანძილზე, რომელსაც მცენარის სიცოცხლის გრძელი ციკლი ჰქვია, გამოყოფებ სამ ძირითად პერიოდს: ახალგაზრდობის, მსხმოიარობის და სიბერის. წლის მანძილზე კი მცენარე ზრდისა და განვითარების რამდენიმე ფაზას გაივლის, მცენარის მიერ ამ ფაზების გავლას სიცოცხლის მოკლე ციკლი ეწოდება. ამ პერიოდში მცენარე იმყოფება, როგორც აქტიურ, ასევე პასიურ მდგომარეობაში. აქტიურ მდგომარეობას ეწოდება ვეგმტაციის პერიოდი, ხოლო პასიური მდგომარეობა კი მოსვენების პერიოდია. (1)

ჩვენს მიერ ექსპერიმენტის შედეგად შესწავლილი იქნა ფორთობლის ზოგიერთი ფორმის მცენარეთა განვითარების ბიოლოგიური რიტმი მეტეოროლოგიურ პირობებთან კავშირში.

დადგენილ იქნა სასიცოცხლო ფაზების რაციონალური გავლის კავშირი მცენარეთა პროდუქტიულობასთან და ნაყოფის ხარისხს ხორცის მაჩვენებლებთან, ყინვაგამდლეობასთან. შესწავლილ ფორმათაგან გამორჩეული იქნა ორი პერსპექტიული ფორმა, რომლებიც ნიშნების კომპლექსით სჯობს სტანდარტულ ჯიშებს.

მცენარის ზრდა-განვითარების ნორმალური პირობები საფუძველს ქმნის მომავალი, მყარი მოსავლის მიღებისათვის. დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული ზონა მსოფლიოს სუპტრობიკული ზონის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილია, სადაც ზოგიერთი ჯიშისა და სახეობის ციტრუსოვანი კულტურა ვერ გადის ნორმალურ ბიოლოგიურ ციკლს, რაც ზოგჯერ მოსავლის შემცირების ძირითადი მიზეზი ხდება. კულტურათა სწორი გადაადგილება მიკროზონების მიხედვით, ჯიშის მოთხოვნების თავისებურებებიდან გამომდინარე, ქმნის წინაპირობას მცენარეთა პოტენციული უნარის გამოვლენისათვ ადაპტირებული იქნას შეცვლილ გარემო პირობებში (2).

კვლევების ცდის ჩატარების მიზანი იყო ფორთობლის ოთხი ჯიშის მცენარეთა სასიცოცხლი პერიოდების თავისებურებების შესწავლა. კერძოდ, ჩვენს ინტერესს წარმოადგენდა თუ რომელი ჯიში გადის რაციონალურ სასიცოცხლო პერიოდებს ჩვენს სუბტროპიკულში, მაქსიმალური პროდუქტიულობის და ნაყოფის მაღალი ხარისხის შენარჩუნებით. კვლევის ამოცანას კი წარმოადგენდა ნიშან-თვისებების მთელ კომპლექსში შესწავლილი ფორმებიდან საუკეთესო თვისებების ქრონი ჯიშის გამოვლენა.

კვლევის ობიექტად ავიდეთ გამორჩეული ფორთობლების მსოფლიო კოლექციის ოთხი წარმომადგენელი: მგლუგანიანი ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი №101, ადგილობრივი ფორთოხალი №1, ჰამლინი და ფორთოხალი კოროლიოკი №107. საკვლევად აღტული გვქონდა თოთოეული ჯიშის ხუთი მცენარე. კვლევები ტარდებოდა ოთხი წლის განმავლობაში 2005-2008წ.

საკვლევი მცენარეების სასიცოცხლო ფაზების დადგენას ვახდენდით ჯიშთგამოცდისათვის შემუშავებული საერთო შეთოდიკით. ბიორიტმის თოთოეული პერიოდის გავლის ხასიათის შეფასება ხდებოდა გარემოს ტემპერატურული რეჟიმის ფაქტორებთან კავშირში და ვიუენებდით მეტეოროლოგიური სადგურის მიერ მოწოდებულ მონაცემებს. ნაყოფის მომწიფების შეფასებისათვის ვსარგებლობდით საყოველთაოდ მიღებული ხუთბალიანი შეფასების კრიტერიუმით. ნაყოფის ბიოქიმიური შეფასება მოვახდინეთ ე. სოლოვიოვის მეთოდით. საერთო მეცნიერების კი გატიტვრის მეთოდით.

საცდელი მცენარეების პროდუქტიულობის აღრიცხვა ხდებოდა ნაყოფის დათვლით და აწონებით.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საცდელმა მცენარეებმა, თავიანთი პოლიმორფიზმის გამო, გარემო პირობებისადმი გამოვლინეს განსხვავებული რეაქცია. განსხვავებული იყო მათი განვითარების ბიორიტმიც. ბუქებრივია მცენარეთა ბიორიტმის ქვეპერიოდები და მათი მიმღინარების ხასიათი განისაზღვრა კლიმატური პირობებით. ბიორითადად საცდელმა მცენარეებმა ექსპერიმენტების ჩატარების ოთხი წლის განმავლობაში, სასიცოცხლო პერიოდები გაიარეს ჯიშების მოთხოვნების შესაბამისად და მათ შორის მკვეთრი განსხვავება არ აღინიშნა. აღაპტირების უნარი აღმოაჩნდა ორ ფორმას გაშინგტონ-ნაველის №101-სა და ფორთოხალ კოროლიოკის №107-ს.

ვეგეტაციის ქვეპერიოდი-ზრდის დაწყებიდან დამთავრებამდე, საშუალოდ ოთხ წელი წადში, ფორთოხალ ვაშინგტონ- ნაველის მცენარეებმა განვლებს 139 დღის განმავლობაში. ეს ფაზები მიმღინარეობდა საშუალო დღე-დღამტური ტემპერატურის 17-18<sup>0</sup> C-ს პირობებში.

ქვეპერიოდი - უკავილობის დაწყებიდან დამთავრებამდე (24 IV-16 V) მიმღინარეობდა 23 დღის განმავლობაში, დაახლოებით 16<sup>0</sup> C ტემპერატურით. საცდელმა მცენარეებმა ზრდის და წყებიდან-ნაყოფის მომწიფებამდე ქვეპერიოდის გავლას 246 დღე მოანდომეს. ტემპერატურათა ჯამი შეადგენდა 4580<sup>0</sup>. ქვეპერიოდების გავლის ასეთმა პირობებმა განაპირობა საცდელ მცენარეთა მაღალი მოსავლიანობა (44,3კგ ნაყოფი საშუალოდ ერთი მცენარიდან). რაც შეეხება საცდელი მცენარეების პროდუქტიულობას კვლევის პერიოდში, მონაცემები მოტანილია № 1 ცხრილში. ცდებმა გვიჩვენა, რომ უფრო რეგულარული და უხვი მოსავალი მოგვცა ფორთოხლის ორმა ფორმამ: გაშინგტონ-ნაველის №101-მა და კოროლიოკის №107-მა.

## ბერიძე ნ., ლამპარაძე შ.

ოთხი წლის საშუალო მონაცმებით, ფორთოხლის ფორმების პროდუქტიულობამ საშუალოდ ერთი მცენარიდან 153-177 ცალი შეადგინა, რაც შეესაბამება 44.3-38.1 კგ-ს. თუ მხედვებლობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მცენარეები ახალგაზრდა ასაკში იყვნენ (სიმაღლე 2,20 – 2,50-მ., ვარჯის დიამეტრი 2,4მ), მაშინ ეს მონაცემები ძალიან კარგ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ. საკვლევი მცენარეები კვლევის პერიოდში ხასიათდებოდნენ უხვი რეგულარული მსხმოიარობით ფორთოხლის შესწავლიდი ფორმების ნაკოფი კარგი ხარისხისა. მათში შაქრების შემცველობა 7.0-8.0%-ია. ვიტამინ C-ს ყველაზე მეტი შემცველობით გამოირჩევა ფორთოხალი ვაშინგტონ-ნაველი №101- (67.2 მგ%) და კოროლიოკი № 107 (65.1მგ%). შესაბამისად ამ ორი ფორმის ნაკოფებს შაქარმუავიანობის უკეთესი ინდექსი აქვთ, ხოლო ნაკოფის სადეგუსტებით შეფასება 80.1-85.5 ბალს შეადგენს. საცდელი მცენარეების ნაკოფის მომწიფების ხარისხი 5 ნოემბრისათვის 2.70-4.50 ბალს შეადგენდა. 15 ნოემბრისათვის ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველი №101-ის და კოროლიოკის ნაკოფების მომწიფების ხარისხმა 5.0 ბალი შეადგინა. საცდელი მცენარეების აღნიშნულმა ორმა ფორმამ ყინვაგამძლეობის შედარებით უკეთესი შედეგი აჩვენა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დაგასცვნათ, რომ მოვლა-მოყვანის ოპტიმალურ პირობებში შესაძლებელია მცენარის სასიცოცხლო პირობების რეგულირება. ბიორიტმის ქვეპერიოდების რაციონალური გავლა საფუძველს უურის მცენარის უხვ და მყარ მოსავალს. ის აგრეთვე ხელს უწყობს მცენარის ადაპტაციის უნარის ამღლებას შეცვლილი გარემო პირობებისადმი.

ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშნების კომპლექსით (განვითარების ბიოლოგიური რიტმის ნორმალური მიმდინარეობს. პროდუქციულობა, ნაკოფის პომლოგიური მაჩვენებლები ყინვაგამძლეობის ხარისხი) გამორჩეული იქნა ფორთოხლის ორი პერსპექტიული ფორმა: ვაშინგტონ ნოველი №101 და კოროლიოკი №107.

ცხრილი №1

### ფორთოხლის ფორმების მოსავლიანობა საშუალო ერთი მცენარიდან (2005-2008წწ)

№	ფორთოხლის ფორმა	2005		2006		2007		2008		საშუალო	
		ცალი	ბბ	ცალი	ბბ	ცალი	ბბ	ცალი	ბბ	ცალი	ბბ
1	გლუკანიანი ფორთოხალი ვაშინგტონ-ნაველი №101	177,0	44,0	165,0	40,4	180,0	45,0	186,0	46,2	177,0	44,3
2	ადგილობრივი ფორთოხალი №1	153,0	27,5	150,0	27,0	161,0	32,2	160,0	27,2	156,0	27,5
3	ფორთოხალი პამლისი	137,0	27,1	160,0	28,1	122,0	24,0	147	28,4	546,0	28,2
4	ფორთოხალი კოროლიოკი №107	175,0	137,0	170,0	38,3	165,0	33,0	172,0	39,0	170,0	38,1

### ლიტერატურა

- ბერიძე ნ. ბუგია ზ. ფორთოხლის (*Citrus sinesis* (L) OSB) სპონტანური და ინდუცირებული მუტაცია, ექომორფოლოგია. ბათუმი 2009წ. გვ. 217
- ბერიძე ნ. ღუმბაძე გ. ციირუსოვანთა მრავალფეროვნება აჭარაში. საერთაშორისო კონფერენციის მასალები – აჭარის (სამხრეთ კოლხეთის) ბიოლოგიური მრავალფეროვნება. ბათუმი 2009წ. გვ. 239

### THE BIOLOGICAL FEATURES OF DEVELOPMENT IN THE SELECTED FORMS OF ORANGES

N. Beridze, Sh. Lamparadze  
Shota Rustaveli State University

#### Summary

It is established that the regulation of plant life cycle period is possible with the optimal conditions of plant caring-cultivation on the base of conducted researches.

This conditions the rationally passing of sub-periods of biorhythm that supports to obtain the abundant plant crops. 2 perspective forms of the oranges (Washington Naveli 101 and Korolioki 107) were selected with complex of the biological and economic signs.



სუბტროპიკულ მცენარეთა დააგადებების ზონააღმდეგ პრამოდის  
გიოლოგიური მეთოდები

გოგოლიშვილი ზ.

ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

აჭარის სუბტროპიკული ზონის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ციტრუსოვანთა ნარგავებს უქირავს. ეკონომიკური თვალსაზრისით მეციტრუსება დღესაც ინარჩუნებს პრიორიტეტულ მნიშვნელობას. ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი ციტრუსებზე, ჩაიზე და სხვა სუბტროპიკულ კულტურებზე მოდის. როგორც მთელი აჭარის სუბტროპიკულ ზღვისპირეთში, აქაც ციტრუსებიდან (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი) ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მეტად მანარინი (*Citrus nobilis*) გამოიჩინა. ალბათ ამიტომაც, როგორც ციტრუსოვნებიდან ძველი კულტურა, მისი დაავადებების გამომწვევი სოკები, სხვა პარაზიტულ სოკოებთან შედარებით, უფრო კარგადაა შესწავლილი.

ორმოცვლიანმა წლიანმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ციტრუსოვნებზე ფართოდ გაფრცელებული და დიდი ზიანის მომტანია ვიტრუსული, ბაქტერიული და სოკოვანი დაავადებები.

თანამედროვე ეტაპზე მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ გამოყენებული ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებიდან (საკარანტინო, აგროტექნიკური, ბიოლოგიური, სელექციური, მექანიკური, ფიზიკური, ბოტანიკური, ქიმიური) ფართოდ გამოყენებული და დამატებული ეფექტის მომცემად ითვლება ბრძოლის ქიმიური მეთოდი, მაგრამ, სამწუხაროდ პრაქტიკაში გამოყენებული ზოგიერთი ქიმიური შენაერთი ანაგვიანებს გარემოს, საფრთხეს უქმნის ადამიანებს, სხვა თბილსისხლიანებსა და ფაუნას. გარდა ამისა, ნიადაგში მცხოვრები მცხნარეთა დაავადებების გამომწვევი სოკოების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდების გამოყენება მათი არასრაბელურობისა და ნაკლებად ეფექტურობის გამო გაძნელებულია. ამიტომ, უკანასკნელ წლებში, ნიადაგის პათოგენური სოკოების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებას, რასაც ფართო პერსაექტივა აქვს. საკვლევ რეგიონში ნიადაგის პათოგენური სოკოებიდან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია და დიდი ზიანის მომტანია ციტრუსების ფეხვის სიდამპლის გამომწვევი სოკოები: *Fusarium oxysporum*, *F. culmorum*, *F. soolani*; *Verticillium* sp. აჭარის პირობებში ციტრუსების გარდა ეს სოკოები ავადებენ პომიდორს, ჭარხალს, ლობიოს, ბარდას და სხვა. განსაკუთრებით დიდი ზიანის მომტანია ციტრუსებისათვის.

წინაიდან მეციტრუსება აჭარის სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის ეკონომიკის განმტკიცების მთავარი და ძირითადი დარგია (მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან მიღებული შემოსავლის 75-80% ციტრუსზე მოდის) და რომლის ფართოდ განვითარებას სხვა დაგადებებთან ერთად ხელს უშლის ციტრუსების ფეხვის სიდამპლის გამომწვევი ზემოთ აღნიშნული სოკოები, გადავწყვიტეთ მათ წინააღმდეგ შეგვესწავლა ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის ეფექტიანობა.

როგორც ცნობილია ციტრუსების ფეხვის სიდამპლის გამომწვევი ნიადაგის სოკოა, მასთან ბრძოლა ჩვეულებრივი მეთოდებით გაძნელებულია, მრავალი მკლევარის მიმართ ანტიბიოტიკებით ანტაგონისტი-სოკოების გამოყენება ნიადაგის პარაზიტული სოკოების მიმართ კარგ შედეგის გვაძლევა.

ცნობილია, რომ ნიადაგში ანტაგონისტი მიკროორგანიზმები ამჟღავნებენ ანტიტენსიურ თვისებებს, ტოქსინების დახმარებით ახშობენ მათ კონკურენტებს, მათ შორის ფიტოპათოგენურ სოკოებს; გარდა ამისა ნიადაგში განვითარებისას ანტაგონისტი ანტიბიოტიკური ნივთიერებების პროდუცირებას ახდენს, რომელიც მცხნარებში მოხვედრისას ამაღლებს წვევის ბაქტერიოფიციდულობას – მცხნარის იმუნობილოგიურ თვისებებს.

მიუხედავად ამისა, ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი ჯერ კიდევ არასაკმარისად არის დამუშავებული და პრაქტიკაში მცხნარეთა დაავადების წინააღმდეგ ფართოდ არ გამოიყენება.

ნიადაგის პათოგენი სოკოების წინააღმდეგ შედარებით უფრო დამუშავებულია და წარმოებაში გამოიყენება პრეპარატი ტრიხოდერმანი, მას აქვს მოქმედების ფართო საექტრი, ხშირ შემთხვევაში იძლევა დადებით შედეგებს ბამბისა და ბადრიჯანის ვერტიციალიოზური, საზამთროს, კომბოსტოს, კანაფის ფუზარიოზული ჭენობის წინააღმდეგ.

გვარი ტრიხოდერმას წარმომადგენლები ფართოდ გავრცელებულია ნიადაგში და აქტიური ანტიბიოტიკების პროდუცირებას ახდენენ.

ზოგიერთი ანტაგონისტი (ხშირად *Trichoderma lignorum*) აქტიურად იხმარება ორგანული შენაერთების დაშლაში ამინოფიკაციისა და ნიტრიფიკაციის პროცესში, ფოსფორისა და კალიუმის მობილიზაციის დროს, რაც მათი ნიადაგის გამდიდრებით გამოიხატება.

ანტაგონისტი სოკოს *Trichoderma lignorum* და პარაზიტი სოკოს *Fusarium oxysporum* პეტ-რის თასებში ჩათვესვისას უფრო სწრაფი ზრდით აღინიშნა სოკო *Trichoderma lignorum*, ხოლო *Fusarium oxysporum* – ის სპორების კოლონია აღმოჩნდა ყველა მხრიდან შებოჭილი *Trichoderma lignorum* –ით, რის შედეგადაც პათოგენის შემდეგი ზრდა შეფერხდა, ხოლო კონტროლის ვარიანტში თრივე სოკოს მიცელიუმის განვითარება მიმდინარეობდა ნორმალურად.

სოკო *Trichoderma lignorum* გამოირჩევა ძლიერი ანტაგონისტურ თვისებებით. ანტაგონისტის მოქმედებით სოკო *Sclerotinia rolfsii*-ის სკლეროციები კარგავენ სიცოცხლის უნარიანობას, რაც მიუთითებს *Trichoderma lignorum* – ის გამოყენების პერსპექტიულობაზე სამხრეთული სიდამპლის გამომწვევი სოკოს წინააღმდეგ.

დადგენილია, რომ ტრიხოდერმას სახეობები ანტიბიოტურ ნივთიერებებს გამოყოფენ, რომლებიც სასიკვდილოდ მოქმედებენ სოკო *Fusarium oxysporum*-ზე.

*Trichoderma lignorum* მაღალ ანტაგონისტურ აქტიურობას იქნება საშემოდგომო ფესვის ფუზარიოზული სიდამპლის გამომწვევი სოკოების წინააღმდეგ. ნტაგონისტის ნიადაგში შეტანა აუმჯობესებს თესლის გადივებისა და აღმოცენების უნარს.

სოკო ანტაგონისტის *Trichoderma lignorum* – ის ნიადაგში შეტანით იზღუდება საშემოდგომო ხორბლის ფესვის სიდამპლის გამომწვევი სოკოები: *Fusarium oxysporum*, *F. culmorum*, *F. sootlani*. ფესვის სიდამპლით დაავადება კონტროლთან შედარებით მცირდება ხორბლის და თავთავების ფაზაში 10-12,5%-ით, ხოლო ცვილისებური სიმწიფის ფაზაში 18-20,4%.

კარგი შედეგია მიღებული ჰიმალაის კედარის ნათესარების დაავადების გამომწვევი სოკოს *Rhizoctonia aberholdii*-ის წინააღმდეგ. სოკო ტრიხოდერმა ლიგნორუმის ნიადაგში შეტანიდან ერთი თვის შემდეგ ნათესარების დაღუპვაშ შეადგინა 1,3%, მაშინ, როცა ანტაგონისტის გარეშე (კონტროლი) დაავადებაშ 17-30% მიაღწია.

ლაბორატორიულ პირობებში *Fusarium*-ის გვარის წარმომადგენლების წინააღმდეგ ზოგიერთი სოკოს ანტაგონისტური თვისებების შესწავლისას უკეთესი აღმოჩნდა სოკოების შემდეგი გვარების (*Penicillium*, *Aspergillus*, *Trichoderma*) წარმომადგენლები.

ანტაგონისტი სოკოები *Trichoderma lignorum* და *T. koningi* შემსვედრ კულტურებში ფარავენ პათოგენური სოკოების კოლონიებს, ხოლო ნიადაგში *Trichoderma lignorum*-ის წინასწარი შეტანა ხელს უწყობს მანდარინის ფესვის სიდამპლის გამომწვევი სოკოების განვითარების შეზღუდვას.

საველე პირობებში *Trichoderma lignorum* – ის ნიადაგში წინასწარი შეტანა იწვევს ასტრების ფუზარიოზული ჭკნობის განვითარების შემცირებას, რის შედეგად ნერგების გამოსაჭლიანობა 29-35%-ით იზრდება.

თოქმის მსგავსი შედეგია მიღებული *Trichoderma lignorum* – ის გამოყენებით თამბაქოსა და ჭარხლის ფესვის შავი სიდამპლის გამომწვევი სოკოს – *Thielaviopsis basikola*-ს წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა ნიადაგის სოკოების წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა ბრძოლის ბიორგიური მეთოდი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მერგალი მ. გ. სუბტროპიკული ციტრუსების დაავადებანი და მათთან ბრძოლა. თბილისი, 1985.
2. დავითაძე მ. ი. შაინიძე ო. ო. მცენარეთა უმთავრესი დაავადებების კვლევის მეთოდები. ბათუმი, 1999.
3. კენტაველი ლ. ა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგადმყოფობანი და მათთან ბრძოლა. თბილისი, 1945.
4. შაინიძე ო. ციტრუსების დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. ბათუმი, 2007.

## THE MAIN OF CITRUSES IN ADJARA SUBTROPICAL ZON AND PHYTOSANITARY CONDITIONS PERSPECTIVS

Gogolishvili Z.

### Summary

It has been established that citrus plants differ from each other in resistance to the wart disease. As a result of the artificial infection of different species and cultivars of these cultivares with the wart disease, it has been found out that the Unshiu mandarine stands out from the rest of them as a variety particularly susceptible to the disease. Of relatively small susceptibility to it have been found to be the Akhalkartuli and Meyer varieties of lemon and the Adgilobrivi variety of orange. The Saadreo mandarine, the Trifoliata Lemon, the Hamlen orange and the Adgilobrivi grapefruit should be considered as resistant to the disease.



## ქოლოს ნაყოფის (*Rubus buschi Grossh.*) ზენოლური ნაერთები

დიასამიძე გ., განიძე გ., ქამადაძე გ-გალანდია ა.  
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი


მაღალი წევის ხითხური ქრომატოგრაფიებისა და ხელქრალური მეთოდებით შესწავლილია ქოლოს (*Rubus saxatilis* L.) ხაქართველოში გავრცელებული ფორმების ანტოციანებისა და ფლავონოიდების თვისობრივი და რაოდენობრივი შემცველობა. დადგენილია, რომ ქოლოს მწიფე ნაყოფი შეიცავს ანტოციანებს და ფლავონოიდები გლიკოზიდებს.

ჟოლო ცნობილია მატონიზირებულ-პროფილაქტიკური თვისებებით. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაშენებულია სამრეწველო პლანტაციაები. საქართველოში გარკვეული გამონაკლის გარდა ჟოლო ძირითადად ველურ ბუნებაში პრაქტიკულად ყველგანაა გავრცელებული. ზოგადი მნიშვნელობის მონაცემებს თუ არ გავითვალისწინებო საქართველოში (განსაკუთრებით დასავლეთში) მოყვანილი ჟოლოს კვლევის შესახებ მონაცემები არ მოიძებნება.


ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შეგვესტავლა აჭარაში გავრცელებული ჟოლოს ნაყოფის ფლავონოიდები გლიკოზიდებისა და ანტოციანების თვისობრივი და რაოდენობრივი შემცველება.

ფლავონოიდები გლიკოზიდებისა და ანტოციანების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზისათვის ნიმუშის ექსტრაქცია ხდებოდა 40 %-იანი მეთანოლით (ან ეთანოლი), რომელიც შემუავებული იყო 1 % მარილმჟავათი (-15-18°C-ზე). ქრომატოგრაფიებისათვის ვიუვენტბლით გრადიენტულ ქრომატოგრაფს -Waters (USA), uv/visible Detector 2489, Binary HPLC Pump1525, ქრომატოგრაფიული სვეტი Symmetry C18, დეტექტორება 510 ნმ-ზე, მოძრავი ფაზა 5 %-იანი ჟიანველმჟავა (A) და მეთანოლი (B), ხაზობრივი გრადიენტი, გამსხველის სიჩქარე 1მლ/წთ-ში საკვლევი ნიმუშის რაოდენობა 20µl.

ჟოლოს ნაყოფის ქრომატოგრამაზე სულ მცირე 8 ნაერთი ჩანს 370 ნმ-ზე დეტექტირებისას, რომელთაგანაც პიკი 4 (ნახ. 1) მიჩნეულია (ავთენტურ ნაერთთან შედარების შემდეგ) კვერცხების 3-O-გლუკოზიდები (შეკავების დრო 18.094, ქრომატოგრამაზე პიკების საერთო ფართობის 71 %-ზე მეტია), ხოლო ანტოციანებიდან სულ მცირე 10 ნაერთი ფიქსირდება. ავთენტურ ნაერთთა არ ქონის გამო ამ ეტაპზე ეს ნაერთები არაა იდენტიფიცირებული.



ნახ. 1 ჟოლოს ანტოციანების მწეს, დეტექტირება 510 ნმ



ნახ. 2 ჟოლოს ფლავონოიდები გლიკოზიდების მწეს, დეტექტირება 370 ნმ



**საერთაშორისო სამეცნიერო-პრაკტიკული კონფერენცია  
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE  
МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ**

ცხრილი

ფლავონოიდური გლიკოზიდებისა და ანტოკიანების ქრომატოგრაფიული დახასიათება

	დასახელება	შეავების დრო	ფართობი	% ფართობის
		10.214	56293	4.11
		11.430	186288	13.61
		12.780	148956	10.88
	Quercetine 3-glukoside	18.094	976996	71.39
	Quercetine 3-rutinoside	19.166		
	Quercetine	25.638		
		10.204	546136	15.13
	Delphinidin 3-galactoside	11.420	1513922	41.93
	Peak2	11.911		
	Delphinidin 3 -glucoside	12.442		
	Peak4	12.775	1226352	33.97
	Cyanidin 3-galactoside	13.333		
	Delphinidin 3-arabinoside	13.801		
	Peak7	14.411	56730	1.57
	Petunidin 3-galactoside	15.151	81518	2.26
0	Peak10	17.068	185876	5.15

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ჟოლოს ნაყოფი მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ფლავონოიდური გლიკოზიდებით და ამ ნაერთების შემდგომი შესწავლა საშუალებას მოგვცემს უფრო რაციონალურად იქნას მცენარის ნაყოფი გამოყენებული.

აღნიშნული პროექტი განხორციელებულდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური სელშეწყობით (გრანტი #GNSF/ST08/8-513). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

#### Summary

The anthocyanins and flavanoids glycosides qualitative and quantitative content of Rubus saxatilis L., which are spread in georgia are studied by the High pressure liquid chromatography and spectral methods. It is established that ,the ripe fruit of Rubus saxatili L. included anthocyanins and glycosides flavonoids.

#### სამგზონალო მცენარეული ნედლეულის – ქაცვის და კუნელის შიგნივრობის მონაცემები და მათი გამოყენება თანამედროვე მეზობელები

თოდება ვ.\* ჯანუაშვილი ნ\*\*. ნატოშვილი ი.\*\*\*

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი \*

თბილისის ბოტანიკური ბაზი, ბოტანიკის ინსტიტუტი \*\*

მ. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტი\*\*\*

ნაშრომში მოკლედ აღწერილია სამკურნალო მცენარეების გამოყენების ისტორია, დადგენილია ქაცვის (იაპონია რამდენიმე) და კუნელის (ჩრატავებუს პერიოდები). ნაყოფებში და რბილობში ქმარების მემკვიდრეობა და მათი გამოყენების პერსპექტივები.

ფიტოფარმაკოთერაპია მცენიერულად დასაბუთებული მცენარეებითა და მათგან მიღებული პრეპარატებით. ფიტოთერაპია თავისთვის განხორციელი ნაწილი საერთოდ და ფარმაკოთერაპია ნაწილობრივ. თერაპიაში გამოყენებული აქტიური პრინციპები – ქიმიური ნივთიერებებით, ხოლო ფიტოთერაპიის წყარო და საფუძველი სამკურნალო მცენარეებით.

საქართველოში სამკურნალო მცენარეები საქმაოდ ბევრია. 1990 წლის არასრული მონაცემებით აქ გავრცელებულია 900-ზე მეტი სახეობა. აქედან, საჭირო და ხშირად გამოყენებული სამკურნალო მცენარეებიდან, თანამედროვე მედიცინაში მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის სახეობებია შესული, მათ შორისაა ქაცვი და კუნელი.

**ქაცვი** უძველესი დროიდან იყო ცნობილი, როგორც სამკურნალო მცენარე, ქველმა ბერ-  
ძნებმა შეამჩნიეს, რომ როდესაც ცხენებს კეტებავდნენ ქაცვის ყლორტებითა და ფოთლებით,  
მათი ბალანი იძენდა ბზინვარებას. აქედან წამოიშვა მისი ლათინური სახელწოდება ყპოს-  
ცხენი, პა -ბრწყინვა, ბზინვა.

**ობიექტი და კელევის მეთოდი:** კვლევის ობიექტად გამოყენებული იყო კულურად გავ-  
რცელებული ქაცვის პოპულაციის ორიგე ხეების ხე-ბუჩქები და შავი კუნელი, ამ მცენარეების  
შესწავლას ვახდებით კონდრაშვილის (კონდრაშვილი, 1977) მეთოდით. ნაყოფში ქიმიური ნივთიე-  
რებების განსაზღვრას ვაწარმოებდით ერთა გრძელების, ტილმანის, საკინოვის მეთოდებით  
(ერმაკოვ, 1952).

ქაცვი ხე-ბუჩქია (*Hippophae rhamnoides*) და შედის ფშავისებრთა ოჯახში – ელავანა-  
ცეავ, საერთოდ 66. სიმაღლის, მდინარეების კოდორისა და ბზიფის ხეობაში იზრდება 12-13 მ.  
სიმაღლემდე, ხოლო ბორჯომის ხეობაში, “კორაცხოველი” – 15 მ-მდე. (თოდეა, 2006) ქაცვის  
ნაყოფები ტოტებზე “ტაროების” სახითაა განლაგებული სურ.1

20 წლიანი მუშაობის შედეგად ქაცვის ნაყოფებში დად-  
გენილი იქნა ძირითადი ქიმიური ნივთიერებები.

გამოირკვა, რომ ქაცვის ნაყოფებში ვიტამინები დიდი რა-  
ოდენობითაა წარმოდგენილი – C ვიტამინი  $348,1 \pm 1,92$  მგ%;  
ვიტამინი –  $386,8 \pm 0,59$  მგ%; B<sub>2</sub> ვიტამინი –  $0,441 \pm 0,00$  მგ% და  
კატორინი –  $57,1 \pm 0,11$  მგ%. ასევე მაღალია მათი ცვალებადო-  
ბა ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების მიხედვით (სიმაღ-  
ლე ზღვის დონიდან, ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები).  
ეს ცვალებადობა მეტია C, B<sub>2</sub>, ვიტამინების და კაროტინების  
შემთხვევაში და ნაკლებია ტოკოფეროლისათვის (ვიტამინი E).  
კაროტინების შემცველობა უკელახე მაღალია ქაცვის ასპინძის  
ფორმებში ( $19,62 \pm 0,03$  მგ% ნედლ მასაზე და  $57,1 \pm 0,01$  მგ%  
მშრალ მასაზე). კაროტინის შემცველობით ერთმანეთს უტოლ-  
დება გალისა –  $29,0 \pm 0,25$  მგ% და ყაზბეგის –  $30,1 \pm 0,08$  მგ%  
(მშრალ მასაზე გადაანგარიშებით) ქაცვის ნაყოფების ნიმუშებ-  
ში. ასეთი რაოდენობით B<sub>2</sub> ვიტამინს არ შეიცავს საქართვე-  
ლოს და, საერთოდ, ევროპის კულტურული ვაშლების, მსხლების და ციტრუსების არცერთი  
ჯიში. გარდა ამისა ქართული ქაცვის ნაყოფის რბილობში, შაქრის შემცველობის მაჩვენებლებ-  
ბი (გლუკოზა, ფრუქტოზა) გაცილებით მეტია 14-16% ვიდრე სხვა გეოგრაფიულ ზონებში –  
ჩრდილოეთი და სამხრეთ კავკასია, ევროპა, აზია 8-10 %.

ქაცვის პრეპარატებიდან უკელახე მნიშვნელოვანია ქაცვის ზეთი, რომელიც მიიღება  
ქაცვის თესლისაგან. ზეთი ხელს უწყობს ქსოვილის რეგენერაცია-შეხეორცებას, ჭრილობისა  
და წყლეულის სწრაფ აღდგენას, კანის დამწვრობის განკურნებას (თერმული, რადიაციული,  
ქიმიური) და ა.შ.

ქაცვის ქართული პოპულაციის ნაყოფების რბილობისა და ზეთის ცხიმოვანი ზეთის  
მეურ კომპონენტებს წარმოადგენენ პალმიტინის ტრიგლიცირიდები, შესამაბისად 30,9–44,6%;  
8,6–11,2% და პალმიტოლეინები 15,8–22,3%; 0,4–1,7% ეს მონაცემები თითქმის იდენტურია აზერ-  
ბაიჯანული წარმოშობის ქაცვის ზეთისა. ოლეინის მევის შემცველობით კი აღტაისა და კავ-  
კასიის ქაცვის ნაყოფები 4-ჯერ აღემატებიან ქაცვის ნაყოფების ქიმიურ მონაცემებს  
(თოდეა, 2009).



სურ №2 კუნელის  
უვავისები და

**კუნელი** – CRATAEGUS pentagyna (ხეობუტებებია-  
ნი). საქართველოში გავრცელებულია კუნელის 8 სა-  
ხეობა. ყველაზე ხშირია წითელი - C. ყრტოსტყლა  
და შავი -C. პენტეგენა. ის შედის ღოსაცავ –ს  
ოჯახში. კუნელი ბუჩქი ან 3-5 მ სიმაღლის ხეა. სამე-  
დიცინო მიზნებისათვის ძირითად გამოიყენება ხუ-  
ბუტებიანი შავი კუნელის ნაყოფები და ყვავილები.  
(სურ.2) კუნელის ქიმიური

შემადგენლობა სათანადოდ არ არის გამოკვლე-  
ული. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მხოლოდ ფლა-  
ვონიდების ჯგუფი, რომელთა საერთო რაოდენობაშ  
ნაყოფში 3-6 % შეადგინა. გიპეროზიდის შემცველო-  
ბით გამოირჩევა დუშეთის რაიონის ფორმები სადაც  
მისმა შემცველობაშ ნაყოფში შეადგინა 45-50%.

თანამედროვე მედიცინაში კუნელის ნაყოფე-  
ბისაგან და ყვავისებისაგან მიღებული ქიმიური პრე-



**საერთაშორისო სამეცნიერო-პრაკტიკული კონფერენცია  
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE  
МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ**

პარატები გამოიყენება, როგორც მასტიმულირებელი საშუალება გულის კუნთებისათვის, წევის დასაწევად და სხვა.

თუ ქაცვის ქიმიური ანალიზის შედეგად მიღებულ კომპონენტებს შევადარებთ ლიტერატურულ მონაცემებს, შეძლება დავასკენათ, რომ საქართველოს ქაცვის პოტულაციის ნედლეულის რესურსები შეიძლება რეკომენდირებული იქნეს მრეწველობაში ქაცვის ზეთის მისაღებად, რის საფუძველსაც იძლევა საქართველოში ჯერ კიდევ ველურად შემორჩენილი ქაცვის მაივები და თარგები, რომლის ფართობი შეადგენს 2910 ჰექტარს. რაც შეეხება ველურად გავრცელებულ კუნელს, მისი ეკოლოგიური მდგრამარეობა დამატაყოფილებელია და ჯერჯერობით მათი ნედლეულის დამზადება და სამკურნალოდ გამოიყენება არ არის საგანგაშო.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თოდეა ვ. - ქაცვის ქართული პოტულაციის ნედლეულის ბიოტექნოლოგიური დირებულების დადგენა და მათი სამრეწველო მიზნით გამოიყენება. მიკრობიოლოგია და ბიოტექნოლოგია. ტ. I. №1, 2009, გვ. 34-39, ობილის;
2. Ермаков А. - Методы биохимического исследования растений. М-Л. Сельхозизд, 1952;
3. Кондрашов В. - К методике описания дикорастущих форм облепихи. Раст. ресурсы, 1977, т. 12, в.1;
4. Руководство по методам исследования, технологическому контролю и учету производства в масложировой промышленности. Т. 1, кн. 2, Л., 1976;
5. Todua.V. Chkhetiani I. Natroshvili I. - Distribution, today's state and conservation problems of sea – buckthorn (Hippophae rhamnoides) in Georgia, Proc. Georgian Acad. ser. biol. Ser. B vol.4, 2006.

**CHEMICAL DATA OF MEDICINAL HERBAL RAW MATERIALS OF SEA-BUCKTHORN AND HAWTHORN AND THEIR USE IN MODERN MEDICINE.**

**Todua V.\* Janukashvili N.\*\*, I. Natroshvili\*\*\***

Sokhumi State University, Tbilisi \*

Botanical Garden, Institute of Botanic \*\*

M. Sabashvili Institute of Soil Science, Agro-Chemistry and Melioration \*\*\*

**Summary**

In the given proceeding is described history of the usage of medical plants. There mostly are discussed plants spread in Abkhazia - Sea-buckthorn (Hippophae rhamnoides) and hawthorn, their usage in phytotherapy. There is described spreading area, chemical composition of those plants, medical Galenical preparations, their usage dosages, obtaining and storage rules and etc. There is described chemical composition of plants.

**შპ80 და მუზანე ბაინის ჩაის ორგანოლეპტიკული  
მაჩვენებლების მიმიური ანალიზი და ექსპრესიზა**

კიკნაძე ნ.ო.

შოთა რესოფელის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართულ ბაზარზე სხვადასხვა დამაზრდებლიდან შემოტანილ შავი და მწვანე ბაინის ჩაის დაუფასოებელ ნიმუშებში ქმიურად განსაზღვრულია შემდგენი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები: ნაყენის არომატი და გემო; ნაყენის გამჭვირვალობა; მოხარული ფოთლის ფერი. ექსპრესიზული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ აღნიშვნული ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების მიხედვით, ჩაი "MARYAM"-ი მიკუთვნება უმაღლესი ხარისხის ჩაის, ხოლო "Lipton"-ი, "AKBAR"-ი, ოზურგეთის და ტყიბულის ჩაი - I ხარისხის ჩაის. აღხანიშნავია, რომ ჩაის ყველა ნიმუშში ნაყენის ხარისხი სრულად იყო გამოხატული: ისინი იყო გამჭვირვალე, მათ არ გააჩნიათ უცხო გემონაკრავი, არადამახასიათებელი სუნი და დევექტები. ჩაის საკვლევი ნიმუშების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები შეესაბამებიან სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს.

ჩაის პროდუქციას აღამიანი უხსოვარი დროიდან გაეცნო, როგორც შრომის უნარიანობის აღდგენის ერთ-ერთ წყაროს. ჩაის უამრავი დირსება წარმოგვიდგება გემოგნური თვისებების ერთგვარი „ბუკეტით“. ჩაის მრეწველობის ძირითადი ამოცანა მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება, როგორებიცაა-არომატი და გემო, რომლებიც განსაზღვრავენ ჩაის საბაზო ფასს. ჩაი-მთელი ბიოქიმიური ლაბორატორიაა, რომელიც თავისი ქიმიური შედეგებისათვის და ბაქტერიოლოგიური თვისებების წყალობით, აუცილებელია აღამიანის ჯანმრთელობისათვის [1,2,3]. ჩაი ასუფთავებს სისხლს, კუნეავს თავის ტკიფილს, აუმჯობესებს მხედ-

ველობას, ჩაი გვიცავს მზისგან. აღმოჩნდა, რომ ჩაის შემადგენლობაში მყოფი ნივთიერებები იცავენ ქანს ულტრააისფერი სხივებისაგან და ამჟერუქებენ თავისუფალი რადიკალების წარმოქნას. მასში არსებული მორიმდავი ნივთიერებები, ვირამინები, ანტიოქსიდანტები, მიკრელებულებები ჩაის აქცევენ მშვენიერ კოსმეტიკური საშუალებად, რომლის გამოყენება შეიძლება ნებისმიერ ასაკში და ნებისმიერ ტიპის კანის შემთხვევაში [4,5]. დღეს ჩაი გაშენებულია მსოფლიოს 30 ქვეყანაში, თუ გამოვრიცხავთ ჩაის მცირე მწარმოებელ ქვეყნებს: ბირმას, ავსტრალიას და დასავლეთ აზტრიკის ზოგიერთ ქვეყანას [6].

თანამედროვე პერიოდში, გასათვალისწინებელია რა ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიკური შემოსავალი, მაჩაიერბას, როგორც მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს, უდიდესი კურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც სამამულ-

ლო-სასურსათო კომპლექსში ეროვნულ ეროვნულ შემოსავალში სამომავლოდ უმნიშვნელოვანების ადგილი უნდა დაიტიროს. ჩაი და მისი პროდუქცია კი წარმოადგენს სავალუტო შემოსავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს წყაროს. ეს კი გვაფიქრებს, რომ მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს როგორც ჩაის ფოთლის ხარისხი, ისე მისი ნედლეულის წარმოებაც [7]. ჩაის ხაზი ფოთლებიდან დამზადებული ნაყენი ერთ-ერთი გაგრცელებული და სტრატეგიული მნიშვნელობის სასმელი პროდუქტია ქართველ ადამიანის ყოველდღიურ ყოფაში. ჩაის მოიხმარებ დღეში რამდენჯერმეც კი და მასზე მოთხოვნილება მატულობს ვირუსული და ინფექციური დაავადებების რისკის პრიორული.

ვითვალისწინებდით რა ჩაის პროდუქციის სტრატეგიულ მნიშვნელობას ჩვენი მოსახლეობის კვების საქმეში, კვლევის მიზნად დავისახეთ ჩაგვეტარებინა რამდენიმე სახეობის ჩაის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების ექსპრიმენტული კვლევა და მის საფუძველზე დაგვეღინა ქართულ ბაზარზე არსებული ამ პროდუქციის შესაბამისობა სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ ნორმებთან. ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების მიხედვით, ჩაი უნდა აქმა-ყოფილებებს 1-ლ ცხრილში მოყვანილ მოთხოვნებს [8,9].

პლევის ობიექტს წარმოადგენდა დაუფასოებელი ჩაის ორი ტიპი: შავი ბაიხაო და მწვანე ბაიხაო. დამამზადებლები: ოურგეთი; ტყიბული; აზერბაიჯანი; შრი-ლანკა; დუბაი. მომზადებულ საშუალო ნიმუშებში განისაზღვრა შემდეგი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები: 1.არმატი და გემო; 2.ნაყენის გამჭვირვალობა; 3.მოსარტული ფოთლის ფერი. საკვლევი ნიმუშების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები წარმოადგენილია მე-2 ცხრილში.

პოტსდამის უნივერსიტეტის პროფესიონალური მარტინ რიხეგის აზრით „თუ ფინანსური სახელმწიფო უნივერსიტეტი უძრავი გამოყიდვებით სხვა მიზნებისათვის. არაუგებელი ხარჯების თავიდან აცილება ქმნის დამატებით ფინანსურ შესაძლებლობებს და შესაბამისად „დაზოგილი“ სახელმწიფო შესაძლებელია გამოყენებული იქნება სხვა მიზნებისათვის. მაგალითად, გადასახადების შემცირებისათვის, დამატებითი სახელმწიფო მომსახურებისათვის ან/და გაუმჯობესებული სახელმწიფო მომსახურებისათვის.“

მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური სუბიექტების ეფექტიანი ფუნქციონირება განსაზღურებულ მნიშვნელობას იდენტური დანახარჯებით მაქსიმალურ ეფექტიანობაში აისახება. ეკონომიკური ეფექტიანობა გულისხმობს წარმოების მიზნისა და ამოცანების მიღწევას მინიმალური დანახარჯებით. იგი ძირითადად სამეცნიერო საქმიანობის შედეგისა და მასზე გაწეული დანახარჯების ურთიერთკავშირში აისახება. შესაბამისად აქტუალურია ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ადამიანთა ქცევის კრიტერიუმების, ეკონომიკური ზრდის კანონზომიერების ფაქტორების კვლევის, ანალიზური პროცედურების, აუდიტორული საქმიანობის შემდგომი სრულყოფის პრიორიტეტების ძებნა.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმისა და მაჩვენებელთა სისტემის შერჩევის საკითხში აზრთა მნიშვნელოვანი განსხვავებაა. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმის საკითხი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. მასზე განსხვავებული მოსაზრებები გამოწვეულია წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების გაიგივებით. “ეფექტი” რაიმე მოვლენის, გარკვეული მოქმედების შედეგია. წარმოების პირობებში იგი გამოხატავს საწარმოო ან სოციალურ შედეგს, რომელიც მიიღება რესურსების ხარჯვის შედეგად გარკვეული დროის მონაკვეთში. იგი სხვადასხვა ნატურალური და ლირებულებითი მაჩვენებლებით ხასიათდება. როგორიცაა მაგალითად გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, მოგების ოდენობა და სხვა. ეფექტიანობის კრიტერიუმი მოვლენის ან რაიმე პროცესის განმახვილებელი ნიშანი ან ნიშანთა ერთობლიობაა, რომელიც კვლებაზე სრულუოფილად ახასიათებს მის არსეს. იგი როგორც რაიმე პროცესის, მოვლენის განვითარების ძირითადი არსის გამოხატვის საშუალება, გვევლინება განმაზოგადებელ საზომად.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი წარმოების საერთო მიზნის მიღწევის დონის შეფასებას უნდა გვაძლევდეს. იგი უნდა ასახავდეს საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს, რომლებიც მარეგულირებელ გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობის ტემპებსა და პროპორციებზე. იგი უნდა პასუხისმგებელი ეკონომიკური კანონიერებისა და კანონზომიერებით მოქმედების შინაარსაა და ხასიათს.

ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი უნდა გვიჩვენებდეს ერთდროული და მიმდინარე დანახარჯების, წარმოებაში მონაწილე ყოველგვარი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ხარისხის გამოყენების გამოყენების უნდა გველა როლში. სწორედ ამით განსხვავდება იგი ეკონომიკური ეფექტიანობის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლისაგან.

ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი უნდა ასახავდეს მეურნეობრიობის ძირითად კანონს – საზოგადოების ინტერესების შესაბამისად მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ზოგადად აუდიტი და კონკრეტულად კი ეფექტიანობის აუდიტი.

ეკონიმიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით აუდიტი კლასიფიცირდება შემდეგ სახეებად:

**ფინანსური აუდიტი (Financial audit)** – ეს არის ფინანსური და საბუღალტრო ოპერაციების მიმოხილვა, თუ რამდენად სრულად და შესაბამისად არის ვალდებულებების, ფულადი სახსრების მიღება-გაცემის ოპერაციები ასახული და წარდგენილი. აგრეთვე განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად არის შესაბამისი კონტროლი ფულად სახსრებსა და სხვა აქტივებზე, შესყიდვებსა და რესურსების გამოყენებაზე.

ფინანსური აუდიტი გულისხმობს იმის დადგენას, თუ რამდენად შესაბამება საწარმოს მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშები ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ დადგენილ პრინციპებს.

**შესაბამისობის აუდიტი (Compliance audit)** - გულისხმობს შემოწმებას იმისას, თუ რამდენადად დაცული ის სპეციფიკური პროცედურები და წესები, რომელიც წაეყენება საწარმოს (ორგანიზაციას). ამ სახის აუდიტით მოწმდება კერძო ბიზნესის საბუღალტრო აღრიცხვის პერსონალის მიერ აღმინისტრაციის მხრიდან დადგენილი პროცედურების დაცვა. დაინდება სელფასის დონის შესაბამისობა იმ მინიმუმთან, რომელიც კანონითაა განსაზღვრული. მოწმდება ბანკებთან და სხვა კრედიტორებთან კონტრაქტების იურიდიული ნომრების დაცვის მდგრამარება და ა.შ. შესაბამისობის აუდიტი მეტწილად ლოკალურ ხასიათს ატარებს და მისი შედეგები მიეწოდება მხოლოდ იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, რომლებიც დაეჭვემდებარება შემოწმებას.

**ეფექტიანობის აუდიტი (Effectiveness audit)** – აუდიტის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება, რასაც დღესდღეობით საფუძველი ეყრდნობა საქართველოში. საზოგადოების მომსახურების სფეროებში აუდიტი არის არა მარტო ფინანსური ანგარიშების აუდიტი, არამედ ასევე არის ფულის დირექტულების აუდიტიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გავიაზროთ რას ნიშავს ფულის დირექტულება. ჩვეულებრივ, ფულის დორებულება განისაზღვრება ეკონომიკურის, შედეგიანობისა და ეფექტიანობის ტერმინებით.

ეფექტიანობის აუდიტის განსაზღვრება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოგაყალიბოდება: პროგრამების შედგენის, საინვესტიციო, ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენების, მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობის (ეფექტიანობის), ეკონომიკურისა და შედეგიანობის ანალიზი და შეფასება.

**გეონომიურობა** – პირობები, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციები იძენენ შრომით და მატერიალურ რესურსებს. ეკონომიკური სუბიექტი სათანადო ხარისხისა და რაოდენობის რესურსების წარმოების უმცირეს ფასად იძენს.

**შეღვიანობა** – კავშირი წარმოებულ პროდუქციასა და მის საწარმოებლად გამოყოფილ რესურსებს შორის. მწარმოებლური ქვედანაყოფი მოცემული რესურსებიდან მაქსიმალურ პროდუქციას აწარმოებს, ან მოცემული რაოდენობისა და ხარისხის მომსახურების გასაწევად მინიმალურ რესურსებს ხარჯავს.

**ეფექტიანობა (მიზანშეწონილობა)** – რამდენად კარგიდ აღწევს პროგრამა ან საქმიანობა დასახულ ამოცანებს ან სხვა გამიზნულ შედეგებს.

ეფექტიანობა არის დამოკიდებულება შედეგსა (გაწეული საქიანობა, ეფექტი, მიზნის მიღწევა) და ფინანსური სახსრების გამოყენებას შორის. ეფექტიანობის განსაზღვრება გულისხმობს, რომ ორი სიდიდის შედარებისას ერთ-ერთი შენარჩუნებული უნდა იყოს როგორც მუდმივი სიდიდე. მაგალითად:

– დონისძიება A უფრო ეფექტიანია დონისძიება B-ზე, როცა კონკრეტული ფინანსური სახსრების გამოყენებით A-ს შედეგი უკეთესია, ვიდრე B-სი; ან

– დონისძიება A ეფექტიანია დონისძიება B-ზე, თუ კონკრეტული შედეგებისას ფინანსური ხარჯი A დონისძიებისათვის ხაკლები იყო, ვიდრე B-სთვის.

შეფასების კრიტერიუმები:

ეკონომიკურობა და მიზნობრიობა = ეფექტიანობა

ეკონომიკურობის შემთხვევაში წინა პლანზე დგას ფინანსური სახსრების გამოყენება



საერთაშორისო სამართლო-პრაკტიკული კონფერენცია  
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE  
МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ

მოცემულ შედეგთან მიმართებაში. მიზნობრიობის შემოწმებისას (მიზნის მიღწევა და მისი შედეგები) აქცენტი კეთდება შედეგზე, ფინანსური სახსრების გამოყენებასთან მიმართებით.

ეფუძნილობის აუდიტის განხორციელებისას ყოველთვის უნდა იქნეს განხილული ორივე მხარე, როგორც შედეგი, ასევე გამოყენებული ფინანსური სახსრები. ამ მოთხოვნის უგულვებელყოფამ შესაძლებელია არაეფუძნილ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ACCA აუდიტი მიმოხილვა, წიგნი 2.6;
2. ACCA აუდიტი და და შიდა მარტინებელი მომსახურება, წიგნი 3.1
3. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ”  
4. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ”. 2010 წ.
5. ბ. ალავერდაშვილი, აუდიტის პრაქტიკული კურსი, თბილისი 2001;
6. რ. მონტგომერი, აუდიტი, თბ; 1999 წ.
7. 6. ქებაძე, აუდიტის საფუძვლები, თბილისი 2005;
8. ე. ცირამუა, აუდიტი, თეორია, ტექნიკური დოკუმენტები, ნაწილი I, თბილისი, 2006;
9. აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტები, ნაწილი I, თბილისი, 1999
- 10 აудиторский словарь /Под ред. В.Я.Соколова. – М.: "Финансы и статистика", 2003, с. 10

**The Role of an Audit of the Effectiveness in the Improvement of Production Economic Efficiency**

**Sologhashvili D., Udesiani T.\***

A.Tsereteli State University, Kutaisi, Chamber of control of Georgia\*

**Summary**

Efficient functioning of economic entities in the conditions of world economic globalization is very important issue. This is reflected by enterprises' minimal expenses with maximum efficiency.

There are significant differences in opinions in modern economic literature occurring to the data system selection criteria in the economic efficiency. This is caused by the equalization of economic efficiency criteria with indicators. "Effect" of any event is a result of some action. In terms of production it expresses production or social results. They are accepted as a result of expenditures during the certain time period. Efficiency is characterized by different natural and value indices, such as – production volume, the amount of profit and so on.

Efficiency criteria in any event or process represents a group of different rating symbols, which are the most fully characterizing its' essence.

Economic efficiency criteria should reflect the economical basic law – the public interest in accordance with the minimum cost to achieve maximum results. That is the purpose of the audit in general and in particular the audit of effectiveness.

**ეფექტურ საოჯახო-გლობურ მეურნეობების ჩამოყალიბების ფანამდლობა**

**დლონტი გ., გალოგრე ნ., გურული ს., ღოლიძე ბ.**

სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

გაანალიზებულია დახავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის აგრარულ სექტორში საოჯახო-გლობური მეურნეობების ფუნქციონირების არსებული მდგრადი მოცემულია წანამდგრები, რომლითაც შესაძლებელია მათი გარდაქმნა ეფექტურ მეურნეობებად.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში ფუნქციონირებდა მაღალრენტაბელური საზოგადოებრივი მეურნეობები, რაც მნიშვნელოვან-წილად მიიღწეოდა ხელსაყრელ გეგმიური ფასების საფუძველზე. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მეურნეობებთან მათი შედარება ცხადყოფდა ხარისხობრივი მაჩვენებლებით ამ უკანასკნელთა უპირატესობას (შრომის ნაყოფიერება, კაპიტალურებება და სხვა).

საქართველოში 90-იან წლებამდე განხორციელებულ რეფორმებს ბიუროკრატია ფიქციონ ად აქცევდა. ამის საშიშროება არსებობდა საბაზრო სისტემაზე გადასვლის დროსაც, ამიტომ ხელისუფლების გამიჯვნა კერძო სექტორისაგან დროებით შეიძლება დადგებითადაც შეფასდეს, მაგრამ მოკლე პერიოდში დასავლური ტიპის სახელმწიფო აპარატის, შესაბამისი მენტალიტების მოხელეთა მეშვეობით უნდა დაწყებულიყო აგრარულ სექტორში ეფექტური მეურნეობათა ჩამოყალიბება, რაც არ მოხდა.

რეფორმის შედეგად საქართველოში აგრარულ სექტორში 729,5 ათასი მეურნეობა წარმოიქმნა, მათ შორის 99,8 % საოჯახო მეურნეობაა. საშუალოდ ერთ მეურნეობაზე მიწის ოდენობა 1,2 ჰა-ს შეადგენს. 1 ჰა-მდე მიწას ფლობს 508,7 ათასი მეურნეობა (69,7 %). წვრილ მწარმოებელთა წილი კიდევ უფრო მაღალია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში, სადაც 229,1 ათას ჰა სასოფლო-სამურნეო მიწა 342 ათას მეურნეობაზეა განაწილებული. ერთ მეურნეობაზე საშუალოდ 0,67 ჰა [1]. 20-30 წლის წინათ საქართველო წლიურად დგბულობდა 3 ათას ერთეულზე მეტ ტრაქტორს, 180 ერთეულ კომბაინს, 2,6 ათას ერთეულ სატვირთო აგრომანქანას და სხვა. 2006 წლისათვის კი საქართველოში სულ 14,9 ერთეული ტრაქტორი იყო (მინისა და ერთდერძიანის ჩათვლით 50 ათასი). მათ შორის 8,5 ათასი (57 %) 10 წელზე უხენესი ასაკის. ყველა კომბაინი (200) 10 წელზე უხენესი იყო. 20,2 ათასი სატვირთო აგრომობილიდან 11,6 ათასის ასაკი (57,4%) 10 წელს ადგმატებაოდა.

წარმოების არაორგანიზებულობის, მასალების სიძვირის გამო შემცირდა მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება. სახელდობრ, 2006 წელს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში გამოყენებულ იქნა სულ – 34,3 ათასი ტონა აზოვგანი, 0,7 ათ. ტონა ფოსფოროვანი და 9,1 ათასი ტონა კალიუმიანი სასუქი, რაც ოპტიმალურთან შედარებით შესაბამისად: 1,6-ჯერ-101,3 და 2,5-ჯერ ნაკლებია [2,3].

კეინისიანელების მიერ დასაბუთებულია საბაზრო ძალების თვითორეგულირების მექანიზმების შეზღუდულობა. ცნობილია ინსტრუმენტები და ბერკეტები, რომლითაც სახელმწიფო ინსტიტუტები არეგულირებენ ეკონომიკას. რეგულირება კიდევ უფრო მეტად საჭიროა ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის. ნობელის პრემიის ლაურეატ ჯორჯ აკელ-როფის გამოკვლევით განვითარებად ქვეყნებში ბიზნესის კეთების სინებრეები უკავშირდება სარისხის განუსაზღვრელობას, ფასების განსაზღვრაში არაკეთილსინდისიერ მიღვომას, ურთიერთნობის დაკარგვას და სხვა. ამ პირობებში მისი თვალსაზრისით სახელმწიფოს შეუძლია აამაღლოს საქმის ყველა მონაწილის კეთილდღეობა. კერძო ინსტიტუტებით სახელმწიფოს ჩანაცვლება კი არაეფექტურია, ძალაუფლების კონცენტრაციის საშიშროების, უნდობლობის და სხვა მიზეზთა გამო.

მეჩაიერების რაიონების თითქმის ყველა სოფელში ამჟამად არის 5-დან 30 ჰა-მდე მასივები რომელზეც აღრე ჩაის პლანტაცია იყო გაშენებული, რამდენჯერმე გადაწვის შემდეგ ეს ფართობები გვიმრითა დაფარული. იგი განაწილებულია თეულობით წვრილ მესაკუთრეზე, თითოეულზე 0,1-დან 0,3 ჰა-მდე ფართობით. ამ ფართობთა ათვისება მასივის სახით უცხოელი, ან ადგილობრივი ინვესტორების მიერ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გამართობული იყოს, მაგრამ უმცესესწილად ეს გზა შესასრულებლად შეუძლებელია და რაც მთავარია არაა მისაღები. უნდა გამოვიყენოთ კოპერაცია, რითაც დანახარჯები მათ შემოღობვასა და დამუშავებაზე 2-3-ჯერ შემცირდება, ვიდრე ცალკეული გლეხი დამოუკიდებლად შეეცდებოდა მათ ათვისებას. ასევე კოოპერაცია და სპეციალიაზაცია უნდა დაედოს საფუძვლად საკარმიდამო და მიმდებარე ფართობების ათვისებას.

წვრილმწარმოებელთა კოოპერაციას აფერხებს, მწირი რესურსები, გამოცდილების ნაკლებობა, უნდობლობა და სხვა, რომლის დაძლევა შეიძლება სახელმწიფოს თანადგომით. მეცნიერ-სპეციალისტების მიერ ეფექტური პროექტების მომზადებით და განხოციელებით. ერთ-ერთი ასეთი პროექტი მომზადებულია საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში, სადაც დამუშავდა კულტურათა ტექნოლოგიურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, შეიქმნა მანქანათა სისტემა. მათი გამოვინებით შედარებით მცირე თანხებით შესაძლებელია მეურნეობათა განლაგების ადგილზე ამოქმედდეს სოფლის მეურნეობაში წარმოებული ნედლეულის გადამამუშავებელი კომბინატი.

პროექტით გათვალისწინებულია კულტურათა და დარგთა განლაგება ბუნებრივი პირობების; პროდუქციაზე მოთხოვნის; პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების, მოსავლიანობის, ფასის კომბინაციაში უპირატესობის; ფერმერთა უნარისა და შესაძლებლობების საფუძვლზე.

პრობლემათა გადაწყვეტის ჩვენებული ხედვის ნათლად წარმოჩნის მიზნით საექსპრიმენტო შერჩეულ იქნა სოფელ შრომის ხრიალეთის უბის 140 ოჯახი (ოზურგეთი), რომელთა სამეურნეო-ეკონომიკური მაჩვენებლები მოვიპოვეთ სხვადასხვა წყაროებიდან, გამოვიყენოთ ექსპერტული შეფასება. ამ მეურნეობათა არსებული ეკონომიკური მაჩვენებლები და პროექტის რეალიზაციის მოსალოდნებლი შედეგები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

როგორც ცხრილი გაიხვენებს მოსავლიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების და შესაბამისად ფასის გადიდების შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება 2,8-ჯერ გაიზრდება. ამას დაგმატება აგროკომბინატში ნედლეულს გადამუშავებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები.

პროექტის განხორციელებით სოფელში მნიშვნელოვნად დაიძლევა შრომის სეზონურობა, შეიცვლება დარგთა განვითარების სტრატეგია – დაბალხარისხის საფუძვლის ნაცვლად ადგილობრივ ბაზარს ხელმისაწვდომ ფასებში მიეწოდება მაღალხარისხის საი-



**საერთაშორისო სამაცნიერო-პრაკტიკული კონფერენცია  
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE  
МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ**

მედო, ძირითადად ორგანული პროდუქტები. საექსპორტო ბაზრის შესაბამის სეგმენტისათვის გაიტანება ელიტური, მაღალფასიანი პროდუქტები.

წვრილმწარმოებელთა კოოპერაციასა და კონკრეტულად ამ პროექტის განხორციელებაში გადამზევებია სახელმწიფოს პოლიტიკური ნება მისი მხარდაჭერა.

პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებების თანმიმდევრულ განხორციელებისათვის დამუშავებულია სქემა.

კულტურების დასახელება	საშეალოწლიურად 2005-2009 წწ.					პროექტის რეალიზაციის მოსალოდ. შედეგი					
	ფარ- ოო- ბი, ჰა	მო- საგ- ლია- ნობა, ტ/ჰა	მო- საგა- ლი	1 კბ საშ. ფასი ლა- რი	პრო- დუქ- ტიო.	მოს- ბა ტ/ჰა	მო- სა- ვალი ტ	1 კბ საშ. ფასი ლა- რი	პრო- დ. ლიო.	დან. ათ. ლა- რი	მო- გება ათ. ლა- რი
(კიბრუები)	44	7,6	334	0,28	93	18,4	811	0,45	365	311	54
ჩაი	42	4,5	189	0,25	47	7,4	310	0,63	194	173	21
თხილი	10	1,7	17	2,71	46	1,9	19	2,79	53	30	23
ფეივი	3	4,0	12	0,88	10,6	4,0	12	0,92	11	9	2
აქტინიდია	0,3	9,0	2,7	0,89	2,4	10,3	3,1	0,90	2,8	1,4	1,4
ხილი	15	6,0	90	0,43	39	10,0	150	0,50	75	50	25
სიმინდი	20	2,6	52	0,44	23	3,3	66	0,50	33	30	3
ჯამი	134,3	-	-	-	261	-	-	-	733,8	604,4	129,4

**გამოყენებული დიტერატურა:**

1. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2005 წ.
2. გრuzia в цифрах в 1985 году ЦСУ ГССР –Издательство «Сабчота сакартвело» Тбилиси, 1986 г.
3. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური კრებული 2006 წელი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2007 წ.

**PRECONDITIONS OF FOUNDATION EFFECTIVE FAMILIE-FARMS HOLDINGS**

**G. Glonti, N. Galogre, S. Guruli, B. Dolidze**

**Summary**

Existing situation of functioning family-farming holdings in subtropical zone of west Georgia is studied. Preconditions for their turning into effective farm is given.

**ძალაშის სოფიალურ-ეკონომიკური პროგლომების გადაწყვეტის სათავე  
სამრეწველო წარმოების განვითარებაში**

**ჩუბინიძე ლ.**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

ბოლო პერიოდში ქ. ქუთაისში საგრძნობლად განვითარდა ინფრა სტრუქტურა, მაგრამ სამრეწველო მეწარმეობის განვითარების გარეშე ქალაქის მოსახლეობის ხოციალურ-ეკონომიკური მდგრამარეობა სათანადოდ ვერ გაუმჯობესდა, ამიტომ ვფიქრობთ მიზანშეწონილი იქნება მოწინავე კაბიტაციისტური ქავებების გამოცდილების საფუძვლზე სახლმწიფო მეცნიერებების რეაბილიტაცია-განვითარებაში.

დღეს პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოკრატიული, სოციალური და სხვა რეფორმების პროცესში, ახალი საქართველოს აღმშენებლობის სახვალით და სტრატეგიული განვითარების ამოცანები, მათ შორის ქალაქითმშენებლობის, ქალაქითარების, ქალაქების სტატუსისა და ფუნქციების თვისტური ეკონომიკური თუ სხვა ზონების ორგანიზაციის, კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტა პრეზიდენტის, სამთავრობო ორგანიზაციების და შესაბამისი მეცნიერების უწადსაღები საკითხია, რომელიც პროფესიო-

ნალურ გააზრებას, მსოფლიოს და ევროპის რიგი ქალაქების განვითარების გამოცდილების შესწავლა-განზოგადოებას და გაზიარებას მოითხოვს ქუთაისის სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით. ეს განსაკუთრებით ყურადსალებია დღეს, რამდენადაც ქ. ქუთაისის კომპლექსური განვითარების გრძელვადიანი პროგრამა-პროგნოზი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების, საბაზრო ურთიერთობის პირობებისათვის ჯერ კიდევ არ არის სათანადო შემუშავებული და მრავალ სასიცოცხლო და საგანგებო კითხვაზე მოითხოვს პასუხის გაცემას. რიგი წინადადებების განზოგადების საფუძველზე საჭიროა მსოფლიოში დამკვიდრებულ გამოცდილებათა მაგალითის გათვალისწინებით შემუშავებული იქნას ქ. ქუთაისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელმაც უნდა მოიცვას ქალაქის ცხოვრების კველა სფერო.

მიგვაჩნია, რომ ქალაქის განვითარების პროგრამის საფუძველი უნდა იყოს სამრეწველო საწარმოების განვითარება-გაფართოება, ამის დასტურად მოგვავს თუ, რას ფიქრობს ამ საკითხებზე ცნობილი მეცნიერები ამერიკის მაგალითზე.

ამერიკელი მკვლევარების კემპელ რ. მაკერნელის და სტენლი ლ. ბრიუს ნაშრომში «ეკონომიკისი» დასმულია პრობლემური კითხვა: «სჭირდება თუ არა აშშ-ს მრეწველური პოლიტიკა», სადაც იხილი წერენ, რომ «უკანასკნელ წლებში იზრდება შემფოთება აშშ-ს მრეწველური უპირატესობის სერიოზული შერყევების გამო. ამერიკულ ბაზარს ნაკადებად მოაწყდა უცხოური ფოლადი, ავტომანქანები, მოტოციკლები, ფოტოაპარატები, საათები და სტერეო-აპარატები, ხოლო ეს ნიშნავს, რომ ამერიკის კონკურენტული უპირატესობა დაიკარგა». აღნიშნავენ რა იაბონის უდაო წარმატებებს, – კითხეულობთ ნაშრომში, – “ბევრი პოლიტიკური, პროფესიული მოღვაწე და საქმიანი სამყაროს ლიდერი – მაგრამ ეკონომისტთა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა თვლის, რომ აშშ-ს მრეწველური პოლიტიკა სჭირდებათ მისი მოჩვენებითი მრეწველური დაქვემდების დასაძლევად. აღნიშნავენ, რომ სახელმწიფომ ხელში უნდა აიდოს უფრო აქტიური ხელმძღვანელი როლი ქვეყნის მრეწველობის სტრუქტურისა და შემადგენლობის ფორმირებაში, სახელმწიფომ, როგორც ვარაუდობენ, ისეთი ბერკეტები უნდა გამოიყენოს, როგორიცაა დაბალი სარგებლის სესხები, სესხის გარანტიები, სპეციალური საგადასახადო რეჟიმი, სუფსიდიები მეცნიერული გამოკვლევებისათვის და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებები და პროტექციონიზმიც კი საგარეო ვაჭრობის სფეროში ... ალბათ საბოლოო შედეგი იქნება ამერიკული ეკონომიკის მიერ მწარმოებლურიბის უფრო მაღალი საშუალო ღონის მიღწვევა და უფრო მეტი კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს ბაზარზე [1].

ამერიკელ მეცნიერ ეკონომისტთა ეს შეფასება და დასკვნები პირდაპირ პასუხებს ქვეყანაში და კერძოდ ქ. ქუთაისში სამრეწველო წარმოების დღევანდელ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე საჭიროა სახელმწიფო და კველა დონეზე, მათ შორის, დარგობრივ, რეგიონულ ასპექტებში სათანადო კომპლექსური, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამების შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია. საქართველოს პარივით სჭირდება სამრეწველო წარმოების განვითარებაში სახელმწიფოს მეტი აქტიური ჩარევა, ახალი სახელმწიფო პოლიტიკა, ამ პოლიტიკის რეალიზაციის სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმების ამოქმედება.

საქართველოს და კერძოდ ქუთაისს შეიძლება მსოფლიო ბაზარზე გველა სამრეწველო საქონლის წარმოების ყოველმხრივი კონკურენტუნარიანობის პრეტენზია არ ჰქონდეს, მაგრამ მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას სამრეწველო წარმოების აღდგენა-განვითარება პარივით რომ სჭირდება ეს ფაქტია.

როდესაც ქ. ქუთაისში სამრეწველო წარმოების განვითარების პრობლემებს და გადაუდაბელ ამოცანებს განვიხილავთ, იგი უნდა დაუკავშიროთ ქუთაისისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახლო მომავლის პრესექტივის მეცნიერულად დასაბუთებულ ინტერესებს, გლობალურ ამოცანებსა და სახელმწიფოს ეკონომიკური აღმაცვლების, სალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესების რეალურად გადასაწყვეტ ამოცანებს, მატერიალური დოვლათის წარმოების რესურსების პრეტენციალს და მოსახლეობის დასაქმების ურთულესი პრობლემების გადაწყვეტას, ხალხის ფულადი შემოსავლებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წყაროების სისტემატიკური ზრდის გარდუგად აუცილებლობას.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მმარველობაში, რადიკალური ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების პროცესში მყოფი ქუთაისისათვის ყოველთვის წინა პლანზე იყო წამოწეული მისი როლის, ადგილისა და სტატუსის განსაზღვრის საკითხები და დღეს მისასალმებელია, რომ ყოფილ სატახტო ქალაქს თანდათან უბრუნდება დაკარგული დირსება და მეტიც ის მეორე დედაქალაქის სტატუსს იძენს. პრეზიდენტისა და მთავრობის ძალისხმევით ქალაქში ფუნქციონირება დაიწყო რესპუბლიკური მასშტაბის ისეთმა მმართველობითმა ორგანოებმა, როგორიცაა: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულებელი ეროვნული კომისია, საქართველოს კონგროლის პალატა, საქართველოს საგზაო დეპარტამენტი და რაც მთავარია 2012 წლიდან ქუთაისში ფუნქციონირებას დაიწყებს საქართველოს პარლამენტი, რაც უდაოდ ხელს შეუწყობს ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას და მაინც მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ღონისძიებისა ქუთაისში სამრეწველო



**საერთაშორისო სამეცნიერო-პრაკტიკული კონფერენცია  
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE**

მეწარმეობის განვითარების უაღრესად დაბალმა დონეებმ ნათლად წარმოაჩინა, რომ ამ მიმართულებით არსებული ურთულები პრობლემები, კერძოდ სამრეწველო-მეწარმეობის ნორმა-ლური ამოქმედება სახელმწიფოს მიერ გატარებული აქტიური ზომების მიღებისა და მართვის სახელმწიფო მექანიზმების ქმედითი დონისძიებების გატარების გარეშე პრაქტიკულად ვერ განხორციელდება, რაც თვალწათლივ ჩანს მსოფლიოს განვითარებული ქაყნების გამოცდილებებიდან.

ଲୋକପାତ୍ରା

1. ქემპბელ რ. მაკონელი, სტენლი ლ. ბრიუ – ეპონომიკი. ობ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1993. 505 გვ.

## **BASIS OF THE DECISION OF SOCIAL AND ECONOMIC PROBLEMS OF KUTAISI IN INDUSTRIAL PRODUCTION DEVELOPMENT**

CHUBINIDZE L.G.

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

### Summary

Lately in Kutaisi the infrastructure considerably develops, but without development industrial manufactures population economic and social situation doesn't improve, therefore we think expediently, by experience of the advanced capitalist countries if the state executes more active a role for rehabilitation and development of industrial production of the country and is concrete for Kutaisi.

საქართველოს რეგიონული ეკონომიკური კოლიტიკის შესახებ

ჩუბინიძე ლ., წერეთელი ი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

ქვეყანაში რაციონალური რეგიონული კუნძომიქური პოლიტიკა არსებობს მაშინ, როდესაც პოლიტიკა, რომელსაც თითოეული რაგორი ანხორციელებს მიმართულია საერთო სახელმწიფო ურიგებრივი ინტერესების განუხრევით რეალიზაციის უზრუნველსაყოფად და პირიქით სახელმწიფოს რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს რეგიონის ინტერესების რეალური განხორციელება.

სახელმწიფოთა განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის შიგარეგიონული პოლიტიკის, კერძოდ კი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესებმა საზოგადოებისათვის უადრესად დიდი მნიშვნელობა შეიძინა, დღეს რეგიონული პოლიტიკისა და რეგიონული ეკონომიკის მეცნიერებები ასალ მიმართულებად განიხილება, რომელიც თეორიული და პრაქტიკული ამოცანების ღროვა, რაციონალურ გადაწყვეტას მოითხოვს, რადგან სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლებისა და რეგიონების ადგილობრივი მმართველობის ინტერესები ყოველთვის არ შეესაბამებიან ერთმანეთს და აზარებებს წინააღმდეგობრივ ხასიათს.

მბლაგრი, განვითარებული სახელმწიფოს ფორმირების ამოცანებიდან გამომდინარე სუვერენიული სახელმწიფოს თავისუფლება და დემოკრატია მისი შიგა რეგიონების თავისუფლებასა და დემოკრატიას მოითხოვს, რაც ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფოს რეგიონულ პოლიტიკაზე, რომლის მოდელსაც ყველა სახელმწიფო თვითონვე აყალიბებს და ქმნის.

საქართველოს სახელმწიფო გენებრივი მშენებლობის რეალურ წარმატებათა საფუძველს რეგიონების ინტერესებთან შეწონასწორებული, კონსტიტუციით განსაზღვრული, სამართლებრივი და საკანონმდებლო აქტებით განმტკიცებული რეგონული პოლიტიკა წარმოადგენს, მაგრამ ვიდრე რეგიონების ეკონომიკურ პოლიტიკას განვიხილავდეთ საჭიროა სახელმწიფო ში რეგიონული პოლიტიკის არსის ზოგადი საფუძვლები განვიხილოთ, რადგან განვითარების დღვევანდელ ეტაპზე საქართველოსთვის ერთის მხრივ ტერიტორიული მთლიანობის ამოცანებმა ხოლო მეორეს მხრივ რეგიონების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე მოთხოვნების გარკვეული ზომითა და მიღებული საერთაშორისო ნორმებით დაგმაყოფილების გარდაუვალმა აუცილებლობამ, განსაკუთრებული ხასიათი მიიღო, რაც დაკავშირებული იყო ახალი ტიპის დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებასა და რეფორმების პრაქტიკული რეალიზაციის პროცესებთან. როგორც ცნობილია გასული საუკუნის ბოლო აღინიშნებოდა ქვეყნებს შორის ინტეგრაციისა და მეტწილად სახელმწიფოთა შიგა დეზინტეგრაციის პროცესების მომძლავრებით, რასაც ადასტურებს ოსეთ-აფხაზეთ-საქართველოს, ჩეხეთ-რუსეთის, ყოფილი იუგოსლავის, ალბანეთის და ბოლოს ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე უძმინები მოვლენების

ბი და ეს ხდება იმ დროს, როდესაც მთელი რიგი ქვეყნების ხელისუფლებათა წარმომადგენლები ქვეყნებს შორის ინტეგრაციის ახალ გზებასა და მიმართულებებს ქმნიან. ეძებენ და სრულყოფენ ეკონომიკური ანგარიშის, შავი ზღვის ქვეყნების ალიანსის, კავკასიური სახლის, ეკონომიკური ანგარიშის ქვეყნების გაერთიანების ურთიერთობის მექანიზმს და ა.შ. ასეთ პირობებში თითოეული სახელმწიფოს ყოველმხრივ გააზრებულმა და გამიზნულმა რეგიონულმა პოლიტიკამ შეიძლება კველა ქვეყნას მხოლიდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შედეგები მოუტანოს.

სრულყოფილმა რეგიონულმა პოლიტიკამ არა მარტო ზოგადეროვნული და ზოგადსახელმწიფოებრივი პრობლემები უნდა გადაწყვიტოს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებაც მკაფიოდ უნდა გამიჯონს და ხამოაყალიბოს მიმდინარე და სტრატეგიული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

პოლიტიკა, რომელსაც თითოეული რეგიონი ახორციელებს მიმართული უნდა იყოს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების განუხელები რეალიზაციის უზრუნველსაყოფად და პირიქით, სახელმწიფოს რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს რეგიონის ინტერესების რეალური განხორციელება. დღეს ისე როგორც მთლიანად საქართველოში რეგიონებშიც შეიცვალა და იცვლება ცხოვრების პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები, საქუთრების ფორმები, სხვა მიდგომას მოითხოვს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, რეგიონებსა და სახელმწიფოს შესაბამისი უფლება-მოვალეობების გამიჯვნა, ძალას იქრებს ბიზნესი და კერძო მეწარმეობა, რეალური დირექტულება შეიძინა ბუნებრივგა რესურსებმა, მაგრამ ვიდრე რეგიონული პოლიტიკა სისტემურ ხასიათს მიიღებდეს გადაუდებლად საჭირო ხდება ახალ პირობებში შესაბამისი მექანიზმებითა და ინსტიტუტებით სახელმწიფო ხელისუფლებისა და რეგიონების მმართველობის უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნა, იმის განსაზღვრა, რომ რეგიონებში კველა დონის ადგილობრივ მმართველობას გარკვეული უფლებებიც აქვთ და განსაკუთრებული მოვალეობანიც აკისრიათ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისა და მიმდინარე პროცესების მართვაში.

რეგიონული მმართველობა მეტი ზომით არეგულირებს და ქმნის ხელშემწყობ გარემოს სამრეწველო და სახოფლო-სამეურნეო წარმოების, საერთოდ მეწარმეობის, ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, კომუნალური მომსახურების სფეროების განვითარებისათვის ცივილიზებული სახელმწიფო და რეგიონული საბიუჯეტო საგადასახადო ფორმირების საფუძველზე. ეს კი ისეთი გარემოს და პირობების შექმნას ნიშავს, როცა ადგილობრივი მმართველობა რეალურად ზრუნავს საქუთარი ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისათვს და სულ უფრო ნაკლები პრეტენზიები აქვს სახელმწიფო დახმარების შესაძლებლობებზე.

რეგიონული პოლიტიკა ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური საფუძვლის ერთიანი რგოლია, მაგრამ იგი უნდა აერთიანებდეს სახელმწიფოსა და რეგიონებს, სახელმწიფოსა და თითოეული მოქალაქების სხვადასხვა ინტერესებს. მაგალითად ეკონომიკური პოლიტიკა ეძებს კომპრომისს სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტებს შორის საბიუჯეტო საგადასახადო სისტემისა და საკუთრების საკითხებზე, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემებზე და ა.შ. კი სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს რეგიონული პოლიტიკა თვით პილიტიკური ამოცანების მართვაში, ეკონომიკაში, სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში, საგარეო ურთიერთობაში და ა.შ.

მთავარია სახელმწიფოს ადმასრულებელი ხელისუფლებების, პარლამენტის, ტერიტორიული მმართველობის ორგანოების და შესაბამისი მეცნიერული პოტენციალის ძალისხმევით ჩამოყალიბდეს თანამედროვე მოვლენებისა და სტრატეგიული ამოცანების გათვალისწინებით საქართველოსათვის ყოველმხრივ მისაღები რეგიონული პოლიტიკა, როგორც კონსტიტუციურ საფუძვლებზე, ასევე ორგანული კანონმდებლობით. ამასთან განსაკუთრებული უწყადება უნდა მიეკვეს საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერულ საფუძვლებზე ფორმირებას.

### ლიტერატურა

2. გ. ჩუბინიძე. რეგიონული ეკონომიკა და მართვა. ქუთაისი. 2000. გვ. 528.
3. ლ. ჩუბინიძე. ქულაქ ქუთაისი მრეწველობის განვითარებისა და მართვის პრობლემები 2004 წლამდე. ქუთაისი. 2009 წ. გვ. 166.

### About the politician of regional economy of Georgia

Chubinidze L. Cereteli I.

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

#### Summary

The rational regional economic policy of the country exists when which policy carries out each region, is directed for maintenance of realization of state interests and on the contrary, the regional policy of the state should provide real realization interests of regions.



საერთაშორისო სამაცნეო-პრაკტიკული კონფერენცია  
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE  
МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში სასოფლო-სამუშაოები  
კულტურების ბანლაბების სრულყოფისათვის

ცანაგა გ. ღლონტი გ.

სხივ – საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული  
კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

პერსპექტივაში კულტურათა განლაგების სრულყოფის საფუძველი უნდა გახდეს ბუ-  
ნებრივი პირობების გამოყენებით ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით მოსახლეობის უზ-  
რუნველყოფა ნორმატიული მაჩვენებლების მიხედვით, ქვეყნის სახურსათო უსაფრთხოებისა  
და სტაბილური განვითარების მიღწევა.

მომავლის განსაზღვრა სარისკოა. განსაკუთრებით საქართველოსათვის, სადაც საბაზ-  
რო ეკონომიკაში გარდამავალ პერიოდში სასტარტო პირობებიც კი ვერ ჩამოყალიბდა. მხედვე-  
ლობაში გვაქვს ეფექტურად ფუნქციონირებადი საოჯახო გლეხური მეურნეობები და წარმოე-  
ბა რეალიზაციის კარგად ორგანიზებული სისტემა.

ახალი პირობების შესაბამისად უნდა გაგვეაზრებინა აგრარული სექტორის განვითა-  
რების მიმართულება, შეგვეცალი დარგობრივი სტრუქტურა. პირველ ყოვლისა ეს ეხება იმ  
დარგებს, რომელთა პროდუქცია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიტანებოდა. ამის კლასი-  
კური მაგალითია მეხაიების 130-140 ათასი ტონა ჩაის პროდუქცია ყოველწლიურად, ხელსაყ-  
რელი ფასებით უკონკურენციონული რეალიზდებოდა რუსეთისა და სსრ კავშირის სხვა რესპუბ-  
ლიკების ბაზრებზე. პოლიტიკურმა ფაქტორმა რუსეთის ბაზარი გადვაპარგინა, მაგრამ არა  
ნაკლები მნიშვნელობა პერნიდა სხვა ფაქტორებს პირველ ყოვლისა ფასს, რომელიც ადრინ-  
დელთან შედარებით 5-10-ჯერ და მეტად შემცირდა ე.ი. შევიწროვდა არა მარტო საბაზრო მო-  
თხოვნა, არამედ მიწოდებაც. ადრე არსებული დეფიციტური მიწისა და შრომის რესურსი  
ახალ პირობებში შეფარდებით ჭარბი აღმოჩნდა. ჭარბი მუქთს, იაფს ნიშნავს. ამ პროცესის  
დარგულირების ნაცვლად იგი ველური კაპიტალიზმის თვითრევულირების სასტიკ მექანიზმს  
დაექვემდებარა, რამაც მოსახლეობა გააღარისება. ალტერნატივების სიმწირის გამო დარგის და-  
ცემა თანხდათან მოხდა. პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი სარეველებით დაიფარა, გამო-  
უსადეგარი გახდა. ამით უხეშად ახალი წონასწორობა უნდა ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ ში-  
და და საგარეო ძალების უმართავი მოქმედების გამო უკანასკნელ პერიოდში კვლავ შესამჩნე-  
ვი გახდა რესურსთა დეფიციტურობა. შედეგად გაიზარდა ჩაის ნედლეულის ფასი, მკრეფავთა  
შრომის ანაზღაურება, ამაღლდა ხარისხოვანი პროდუქციის ფასი, მაგრამ საბაზრო თვითრევ-  
გულირების მექანიზმის იმედით წარმოების ოპტიმალურ ფარგლებში აღდგენა ვერ მოხდება.

გეგმიურ ეკონომიკაში პროგნოზული მაჩვენებლები ზემოდან განისაზღვრებოდა. მეცნი-  
ერები აკონკრეტებდნენ პარამეტრებს, განსაზღვრავდნენ საჭირო რესურსების ოდენობას: სა-  
ბაზრო ეკონომიკაში კონკურენტულ ბაზრებზე ფასები მერყევია, რაც რისკს ზრდის. გარკვეუ-  
ლი საბაზრო წილის დაკავებისათვის მნიშვნელოვანი რესურსები, დიდი ძალისხმევა, ქვეყანა-  
ში ბიზნესის კეთების ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება და დროა საჭირო. სუბიექტურო-  
ბის გამო ამ ახალი გარემოების გათვალისწინება, როგორც მაქს პლანი აღნიშნავს არა იო-  
ლი. ახალი მეცნიერული ჟემარიტების გამარჯვება არგუმენტებით და ოპონენტების მიერ მი-  
სი ადიარებით კი არა, არამედ ახალი თაობის მიერ მისი მიღებით ხდება. ჩვენ შევეცდებით  
სუბიექტურობა ავიცილოთ თავიდან [1].

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე  
დამუშავებული მიწის ფარობი 268 ათას პექტარს შეადგენდა. 2004 წლის აღწერით კი იგი  
202 ათას პექტრამდე შემცირდა. 2000-2009 წლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავ-  
ლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაჩვენებლები პოტენციურ შესაძლებლო-  
ბებს 2-3-ჯერ და მეტად ჩამოუვარდება [2,3,4].

პერსპექტივაში წარმოების გადიდება და ეფექტიანობის ამაღლება მიიღწევა, როგორც  
ექსტენსიური ფაქტორის გამოყენებით (დამუშავებული ფართობის 60-70 ათასი პექტრით გადი-  
დებით). ისე დარგთა და კულტურათა გაადგილების სრულყოფით, ინტენსიფიკაციის დონის  
ამაღლებით.

სუბტროპიკულ ზონაში ამჟამად (2005-2010 წწ.) მოსახლეობის ერთ სულ ზე გაანგარიშე-  
ბით ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოება 2-3-ჯერ ნაკლებია ნორმატიულ მაჩვენებ-  
ლებთან შედარებით. მაშინ როცა ბუნებრივი პირობები ადგილობრივი ბაზრის მოლიანად უზ-  
რუნველყოფის (გარდა ხორცის და კარტოფილისა) და მნიშვნელოვან საექსპორტო შესაძლებ-  
ლობას იძლევა. პერსპექტივის განსაზღვრისათვის გათვალისწინებული იქნა ქვეყნის სასურსა-  
თო უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის საერთაშორისო რეგიონდაციები თვითუზრუნ-

**დასაგლეთ სამართველოს სუბტიტუტულ ზონაში სასოფლო-სამეურნო კულტურების  
გაცლაბების სრულყოფისათვის**

კელყოფის მაჩვენებლის 70-80%-მდე ამაღლება. აღნიშნულ მიღებომათა საფუძველზე განისაზღვრა კულტურათა განლაგება და წარმოების მაჩვენებლები (მასალები იხ. ცხრილი 1) [4.5].

მეჩაიერბიდან უკანასკნელ წლებში 1,5-2,0 ათასი ტონა მზა პროდუქტი მიიღებოდა. 1 კგ-ის საშუალო საექსპორტო ფასი 0,60 ლოდარს არ აღემატებოდა. პერსპექტივაში სტრატეგია უნდა შეიცვალოს წარმოების ზრდა ძირითადად უნდა მოხდეს მაღალხარისხოვანი პროდუქტის ხარჯზე, რომელმაც პირველ ყოვლისა ადგილობრივ ბაზარზე იმპორტული 800 ტონა პროდუქტის 80-90 % უნდა ჩაანაცვლოს. პარალელურად მოძიებული უნდა იქნება საზღვარგარეთის ბაზების ის სეგმენტები, რომლებშიც შესაძლებელი იქნება მაღალფასიანი პროდუქტების რეალიზება. ამით ახლო პერსპექტივაში შესაძლებელელი იქნება ჩაის წარმოება 1,5-2,5 კგ-ზე გაიზარდოს, ხოლო შემდგომში, ხელსაყრელ პირობებში შესაძლებელია ჩაის მზა პროდუქციის წარმოების 10-12 ათას ტონამდე გადიდება. გარდამავალ პერიოდში გამორჩეულად ვითარდებოდა მეთხილეობა მის პროდუქციაზე მაღალი საექსპორტო მოთხოვნის, უმეტესწილად ხელსაყრელი ფასების გამო მოსახლეობამ სპონტანურად დაიწყო ახალი ფართობების გაშენება. ამ დარგს წარმოების შემდგომი გადიდების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. ციტრუსის, ხილის, ბოსტნეულის წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მათი პროდუქციის გადამუშავება, დაფასოება, ხასაჭირო სახის მიცემა. სასურსათო უსაფრთხოებაში გადამწყვეტი როლი მარცვლეულს ეკუთვნის, სუბტროპიკულ ზონაში ძირითადი სიმინდის კულტურა. მისი წარმოების 2,4-ჯერ გადადება დასახული ერთ სულ მოსახლეზე გააჩნარიშებით წარმოება 300 კგ-ს მიადგენს, მარცვლეულთან ერთად საკვები კულტურების წარმოების ზრდამ უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობის პროდუქტების: რძის 400 ათას, ხორცის 70 ათას ტონას, კვერცხის 350 მლნ ცალის წარმოება.

ურადდება უნდა დაეთმოს სტერის, მოცეს, რენკლოდს (ქლიავს) და სხვა კულტურებს, მაგრამ რეკომენდაცია მათ სამრეწველო განვითარებას შეიძლება მიეცეს ბაზრის მოთხოვნის ფასის და სხვა პირობების დაზუსტების შემდეგ. სულ ხოფლის მეურნეობის პროდუქციის დირებულება ჩვენი გათვლებით საბაზისო პერიოდთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზრდება და 1,8 მლრდ ლარს მიაღწევს.

ცხრილი 1.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგებისა და წარმოების არხებული დონე და განვითარების სქემა პერსპექტივაში

№	კულტურების დასახლება	არხებული დონე (2006-2009 წ.)			პერსპექტივაში			
		ფართო- ბი, ცალკ- ნარგ- ხათვ- ბა	მოსავ- ბა ტ/ჰა	საშ. წლიუ- რი მო- სავალი, ტონა	ფართო- ბი ჰა	მოსავ- ბა ტ/ჰა	მოსა ვალი, ტონა	პერსპ. მოსავ- მაჩვენ. %- არს. დონ. მი- მართ
1	ჩაი	3000*	2,1	6300	8200	7,5	49400	784,0
2	ციტრუსი	8700	8,6	75000	9117	16,4	143830	191,8
3	თხილი	18500	1,1	20300	29000	1,7	39475	194,5
4	ვეგანია	359	2,6	940	400	4,0	1600	170,2
5	აქტინიდია	132	8,3	1100	205	8,7	1460	132,7
6	ხურმა	1774	8,8	15675	2000	20,0	30000	191,4
7	ხეხილი (თეხლ. კურკ)	14725	6,3	93400	15000	12,0	180000	192,7
8	კენკროვანი	91	2,4	220	150	4,0	600	272,7
9	ვენახი	10262	4,7	47800	10300	7,6	75000	156,9
10	სხვა	4797	-	-	4500	-	-	-
11	სულ მრავლ. ნარგავ.	62340	-	-	70872	-	-	-
12	მარცვლეული	10000	2,2	219330	150000	3,5	525000	239,4
13	ბოსტნეული	9106	5,2	47800	13000	20,0	260000	543,9
14	ბაღნეული	1377	13,3	18250	1500	25,0	37500	205,5
15	კარტოფილი	4325	11,8	51000	4500	20,0	90000	176,5
16	საკვები კულტურები	1092	2,8	3100	10000	4,0	40000	1290,3
17	სხვა ერთწლ.	3000	-	-	3000	-	-	-
18	სულ. ერთწლულტურ.	118900	-	-	182000	-	-	-
19	კროწ. და მრავ. კულტ. სულ	181240	-	-	252872	-	-	-

- სტატისტიკით 11,5 ათ. ჰა ექსპერტული შეფასებით მოქმედია 3 ათ-მდე ჰა.
- იმ რეგიონის მაჩვენებლები, რომლებიც სტატისტიკურ კრებულში არ იყო წარმოდგენილი გამოვლენალეთ 2004 წლის აღწერის მასალებისა და მეზობელ რეგიონის მოსავლი-ანობის საფუძველზე



საერთაშორისო სამარცვლო-პრაკტიკული კონფერენცია  
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE  
МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ

გამოყენებული ლიტერატურა

- ლეიიაშვილი პ. -ეკონომიკის- გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 2003, გვ. 13.
- საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2005.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. I-XI. თბილისი, 1975-1987 წ.
- საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009. სტატისტიკური პუბლიკაცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2010 წ.
- საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2004 წელი.

FOR PERFECTION OF PLACING AGRICULTURAL CROPS IN WEST GEORGIA SUBTROPICAL ZONE

V. Tsanava, G. Glonti

**Summary**

The foundation of perfection the placing of agricultural crops on the base of cooperating small farms in perspective is satisfaction of population demands with products of local production by using natural conditions in order to reach the country's food safety and stable development.

ხის კასრებისა და საპასრე ჰპეჩების ფარმოება მე-19 ს. და მე-20 ს.  
დასაზყისის დასაგლეთ საქართველოში. დარბის აღორძინების  
პერსპექტივები

**ხუსკივაძე გ.**

ქუთაისის დამოუკიდებელი სახწავლო უნივერსიტეტი

სტატიაში ავტორის მიერ შეხწავლილია დასავლეთ საქართველოში ხის კასრებისა და საკართველოში მრავალი მრავალობის ტრადიციები.

ავტორი აღნიშნავს ხისამაგრებელი მრავალობის ტრადიციები დარგების, კურძოდ, ხის კასრებისა და ტკებების წარმოების აღორძინების პერსპექტივებს, მხოლოდ ბაზარზე ამ პროცესიაზე დიდი მოთხოვნის გამო.

საქართველოს აქცე შესაძლებლობა აწარმოოს მაღალი კურენტურიანი პროცესი, რაც ხელს შეუწყობს რეგიონებში მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლების გაზრდას.

მე-19 საკუუნის საქართველოს ხელის დამმუშავებელი მრეწველობისათვის დამახასიათებელი იყო საკუთრების სხვადასხვა ფორმების თანაარსებობა - დაწყებული ოჯახური მეურნეობიდან, დამთავრებული საფარისებრ-საქართველო მრეწველობით. მათში მოსახლეობის მცირე ნაწილი იყო დასაქმებული.

საზინის შემოსავალი ტკებებიდან ძალზე მცირე იყო, იგი დაცვისა და მმართველობისათვის საჭირო ხარჯებს ვერ ფარავდა. ამიტომ სახაზინო ტკებები ნელ-ნელა იჩენებოდა.

საქართველოში მე-19ს ბოლოს ხის კასრებზე მოთხოვნილება გაიზარდა. ზრდა განაპირობა ბათუმის ნავთობის საექსპორტო ქარხნების გაზრდილმა მოთხოვნილებამ ხის კასრებზე, როთაც ნავთობი გაჰქონდათ. 1894წ. წლიურ მოთხოვნილებას 100 ათასი კასრისათვის საჭირო ტკები შეადგენდა. აქედან 40000 კასრი ადგილობრივი მასალით მზადდებოდა.

1886 წ. სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა გენერალური აღწერის მონაცემებით, დასავლეთ საქართველოში ხის დამმუშავებელი 108 სახელოსნოა აღმისაცემით. უფრო მსხვილი საკართველოში სახელოსნოები ბათუმში იყო, რომლებიც 1886 წლიდან მანუფაქტურულ საწარმოებად ჩამოყალიბდნენ. 100 ცალი უხეშად თლილი ტკები 40-45 მან. ფასობდა, სრულიად მზა კი - 50-65 მან.

საკართველოში სამრეწველოსათვის ნახევარული განვითარების მიზანი მარტინ დემირ გამოიყენება სხვადასხვა ჯიშის ხის მერქნისაგან. ყველაზე ძვირფასია მუხის მერქანი. გამოიყენება აგრეთვე სხვა ჯიშის მერქანიც: წიფელი, წაბლი, არყი, ჭადარი, ვერხვი, თხმელა, ფიჭვი, ჩინარი, ცაცხვი, ნაძვი, სოჭი, ლარიქსი, კედარი.

მთელ ამიერკავკასიაში საკართველოში ტკებები ხელით მზადდებოდა. ხის დანაკარგი ამ დროს 25-30% ს აღწევდა. ხელის დამმუშაოზე მრავალრიცხოვანი მუშახელი იყო დაკავებული, მაგრამ ზუსტი რაოდენობის დადგენისათვის არავთარი მონაცემები არ არსებობს.

გარდა ამისა, კასრებს ამზადებდა და მოიხმარდა მეღვინეობისა და სპირტიანი სასმელუბის საწარმოები, რომელთა შორის თავისი სიდიდით გამოირჩეოდა რუსეთის იმპერიაში კონიაქის წარმოების პირველი დამფუძნებლის, დავით სარაჯიშვილის ქარხნები, რომლებიც მან თბილისში 1884 წელს დაარსა. მუხის საკასრე ტკეჩები ძირითადად ექსპორტის საგანს შეადგენდა. მაგ. 1894წ. სოხუმის რაიონიდან 1,5 მლნ ცალი ტკეჩი გაიგზავნა მეტწილად საფრანგეთში. 1896წ. კი ერთი მილიონი.

1902 წლისათვის საკასრე ტკეჩების და სხვა ძვირფასი ხის მასალის ბზისა და კაპლის დამზადებას მისდევდა 30-მდე ქართველი მრეწველი, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად იზღუდებოდნენ ბათუმში არსებული ქარხნების მეპატრონეთაგან, რომლებიც ერთმანეთთან თავიანთი სურვილისამებრ არეგულირებდნენ საკასრე ტკეჩების ფასებს.

სოფელ კალდახვარაში არსებობდა ბარონ დე კოსტექსის ქარხანა 1885წ. მუშაობდა 18 კაცი, ხოლო ხე-ტყის მოჭრაზე ყოველდღიურად 100-მდე კაცი. მისი წლიური პროდუქცია 40 ათას მან. შეადგენდა.

ნავთობის საექსპორტო ჰურჭლის-ტარის დამამზადებელი პირველი ქარხანა ააგეს ინგინერებმა ბუნებრივი და აალაშკოვგასიმ 1883 წ. ბათუმში. ქარხანა ეკუთვნოდა „კასპია-შავი ზღვის ნავთის დამზადებელი და სავაჭრო საზოგადოებას“, რომელიც 1886 წლიდან როგორც შილდის ხელში გადავიდა. ამ საწარმოში 1885 წ. 484 კაცი მუშაობდა. 172762 ხის კასრი დამზადება. ქარხანა მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოს წარმოადგენდა. ამავე წელს ბათუმში ელექტრისა და ბურგადტის საწარმომ, რომელიც წელიწადში 200 ათას ცალ საკასრე ტკეჩის მოიხმარდა, 4600 კასრი დაამზადა.

1902 წ. ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშში დასახელებულია გუბერნიის 32 სახერხი ქარხანა, რომლის წლიური პროდუქცია 772 000 მანეთს შეადგენდა, სადაც 629 მუშა (კასრებისა-5 მანუფაქტურა, 556000 მან. პროდუქციით და 170 მუშით) იყო დასაქმებული.

კაპიტალისტურ საწარმოთა შორის უნდა დაგასახელოთ 1903-1904 წ. სადგურ რიონთან, ალექსანდროვსკის მამულში მდებარე იმ დროს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ეს ქარხანა მეორე ქარხნად ითვლებოდა საქართველოს ფარგლებში, საჭილაოს ქარხნის შემდეგ. საწარმო დღეში 500 კასრს ამზადებდა. თითო კასრის სარეალიზაციო ფასი 65 კაპ. იყო. ქარხანაში 19 კაცი მუშაობდა. მას გარეთ კი 23 მუშა იყო დასაქმებული.

1915წ. დასავლეთ საქართველოს სახერხი ქარხნები წარმოებული პროდუქციის ოდენობით და დასაქმებული მუშების რაოდენობით მნიშვნელოვნად უსწრებდა აღმოსავლეთ საქართველოს, სადაც ამავე წელს ირიცხებოდა 17 სახერხი 343 მუშითა და 639 220 მან. წლიური პროდუქციით.

საქართველოში ყველაზე მსხვილ კაპიტალისტურ სახერხ ქარხნებად მე-20 საუკუნის დასაწყისში ითვლებოდა გრაფ სბროიავაკის ქარხნები საჭილაოში, ფოთში, გაგრის სახერხი და ალექსანდროვსკის საწარმო. აღმოსავლეთ საქართველოში ზეზმანის ორი ქარხანა გორში და ორი სახერხი ქარხანა ბორჯომში.

ხის კასრებისა და საკასრე ტკეჩების წარმოება ერთ-ერთი ტრადიციული დარგია დასავლეთ საქართველოსათვის.

კასრის მრეწველობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუხის მერქნის ბოჭკოვან სტრუქტურას, რომელიც დამოკიდებულია ხის ზრდის გარემო პირობებზე. რაც უფრო წვრილია ბოჭკო, მით უკეთესი თვისებები აქვს კასრს. კასრების წარმოებაში ყველაზე ძვირფასად მიიჩნევა ფრანგული ტრონსეს მუხა, წვრილბოჭკოვანი მერქნით, სირბილით და ტკბილი ტანინებით. მაგრამ მას არაფრით ჩამოუვარდება ქართული მუხა.

დღეს დიდი ყურადღებაა გამახვილებული საქართველოში ტყის აღდგენასა და დაცვაზე. ამიტომ პრიოროტეტულია მიგვაჩნია მუხის კორომების მიზანმიმართულ გაშენებას დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება. ამით უზრუნველვყოფთ მომავალს ძვირფასი მერქნით. თუ გავითვალისწინებოთ საფრანგეთის გამოცდილებას, დავინახავთ, რომ 150 წლის მანძილზე საფრანგეთში ტკეჩების ფართობი 2-ჯერ გაიზარდა. გაჩეხილი ტკეჩებისა და ფილოქსერის მიერ განადგურებულ ფართობებზე დიუნისა და შაბლიში მუხა და ფიჭვი დაირგო. ტყის ნარგავების აღდგენისა და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკა ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროიდან დაიწყო და დღეს მნიშვნელოვნა წარმატებებს მიაღწია. დღეს ფრანგული ტყე ევროკავშირის ტკეჩების 40% შეადგენს და მას ქვემის ტერიტორიის მეოთხედი უჭირავს (14 მლნ. ჰა). ამ ფართობის მესამედი კი მუხის ხეებია.

საფრანგეთში ტყის 70% კერძო საკუთრებაშია. სექტემბერსა და ოქტომბერში აუქციონს აწყობენ, სადაც მოუჭრელ ხეებს ყიდიან. აუქციონზე გამოტანილი მუხა არანაკლებ 100 წლისაა. პოტენციურ მყიდველს შეუძლია მერქანი ტყეშივე დაათვალიეროს. თუკი ხე კასრისათვის არ გამოდგება, მაშინ მას ავეჯის მწარმოებლებზე ყიდიან ან მშენებლები და რკინიგზე შეიძენენ.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღორძინდეს ხისდამმუშავებული მრეწველობის ტრადიცი-



საერთაშორისო სამაცნიერო-პრაკტიკული კონფერენცია  
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE  
МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ

ული დარგები, ქერძოდ, ხის კასრებისა და ტკეჩების წარმოება, რადგან მსოფლიო ბაზარზე ამ პროდუქციაზე მოთხოვნა დიდია, განსაკუთრებით ღვინის წარმოებაში. საქართველოს აქვს ამ პროდუქციის წარმოებისათვის უნიკალური სანედლეულო ბაზა, მდიდარი ტრადიცია და გამოცდილება. ვფიქრობთ ეს დიდად შეუწყობს ხელს არამარტო მედვინეობის განვითარებას, მის მომარაგებას ადგილობრივი, მაღალხარისხისანი, იაფი ჰურჭელით, არამედ რეგიონებში მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლების გაზრდას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. «Кавказский календарь». на 1893, 1897, 1903, 1905, 1912, 1914, 1917гг.
2. Бакрадзе Г.К. Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в 19в. Тб.: 1958.
3. Долгушин А.А. Леса Закавказья и их эксплуатация» с.145.
4. Гугушвили Развитие промышленности в Грузии и Закавказья в 19- 20 вв. Тб.: 1,1957.
5. Кавказское сельское хозяйство 1896г. №97
6. Гагемайстер Ю. Закавказские очерки. 1845.
7. Батум и его окрестности. 1902. №76
8. ЦГИА. ССР. ф 20. он.12. д.100. лл 28,44.
9. სტატისტიკური მომბჯ. 1928. №14-16
10. ქუთაისის ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდები.
11. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდები.
12. იოშეგვია, მერქანიანი - „დგინოგბის ტექნიკოგია“.
13. გლაზუნოვი, ცირანუ. ღვინისა და კონიაკის ტექნიკოგია

**PRODUCTION OF WOODEN BARRELS AND THIN PIECES OF WOOD IN THE 19 TH AND 20 TH CENTURIES IN THE WEST GEORGIA.**

**Summary**

The tradition of wooden barrels and thin pieces of wood in the west Georgia are studied by the author in the article.

The author indicates about the traditional branches of wood-making manufacturing industry, particularly the perspective revival of wooden barrels and thin pieces of wood, because of their high demand on the world market.

Georgia has the real opportunity to produce high competitive production, which will greatly contribute to employ the inhabitants on some work and expand their income within the region.

**პრინციპების მართვის თავისებულებები მცირე ბიზნესში**

**ჯულაყიძე გ. გ.**  
აპაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძცირე ბიზნესში, პერსონალის მართვის ეფექტურობა უშუალოდაა დამოუიდებულია ხელმძღვანელის პიროვნულ თვისებებზე, რომელიც თანამშრომლებს უქმნის მოტივაციას, რომ მათ საუკეთესო უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები მოახმარონ ფირმის წარმატებას. უკრადღება უნდა გამახვილდეს ასევე შედასაწარმოო კონფლიქტების პრევენციებზე, როგორც მოგანიხაციული ერთიანობის მამუხრუჯებელი მიზანზე. წარმატებული პერსონალი – ეს არის პროფესიონალთა ჯგუფი, რომელიც მუშაობს ფირმის შედეგებზე და არ ქმნის მიზნის მიღწევის პრობლემებს.

ძცირე ბიზნესის მართვის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი პერსონალის მართვა, რომელზეც მნიშვნელოვნება დამოკიდებულია ამ ფირმის სამეცნიერო საქმიანობის შედეგები. საწარმოო პერსონალი, მცირე ბიზნესში, უნდა წარმოადგენდეს ერთობაზოგნეთა ჯგუფს. საერთო მიზნები, რომლის მისაღწევადაც იღებვის ფირმის მენეჯმენტი, ამავე დროს უნდა წარმოადგენს კერძო მიზანს თანამშრომლებისათვის და პირიქით. თანამშრომლები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ერთმანეთის დახმარებით, რადგან საბოლოო ანგარიშით ეს ემსახურება მათ საერთო ინტერესებს.

